# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 3 აგვისტო 2006 №177 (2799) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი კოპილაძის ფოტოები

## მივადგებით ხოლმე კლასის კარს და...







უეფას საგანგებო კომისიამ „მილანი" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაუშვა. ამრიგად, კალჩოპოლის სკანდალში გარეული და სხვებზე ნაკლებად, მაგრამ მაინც დასჯილი „როსონერი" სერბულ „ცრვენა ზვეზდას" შეხვდება. რატომ დართო თამაშების გარიგებაში მხილებულ გუნდს უეფამ თავის შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება? როგორც მისი ოფიციალური განცხადებიდან ვიგებთ, იმიტომ, რომ დასასჯელად კანონი ვერ მიუყენა, თორემ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სიამოვნებით დასჯიდა. განცხადებაში ისიც წერია, რომ უეფა ამ გამოცდილებას წყალს არ გაატანს და კანონს შეცვლის, ხოლო „მილანს", თუ მას კიდევ შეატყობენ არალეგალური საქმიანობის სიყვარულს, მკაცრად დასჯის.

## ვიეირამ შავს ლურჯი მიუმატა: ინტერს დაემატა



AFP მილანიდან

## ნაჩელსარი ბეზერი აბრამოვიჩს მინუსებში დატოვებას უპირებს



აწ „ლიდსის", ადრე კი „ჩელსის" სახელგანთქმულმა თავმჯდომარე კენ ბეიტსმა, „ჩელსი" ორი ლიდსელი ყმაწვილის უჩუმრად გადაბირებასა და თანხის გადაუხდელობაში ამხილა.

კაცმა, რომელიც „ჩელსის" თავმჯდომარე იყო 20 წელიწადს, ჩელსელებს ქურდები უწოდა და „ლიდსის" აკადემიის მოწაფეების, მაიკლ ვუდის და ტომ ტაივოს მალულად გადაბირებაში, ასევე დენი რაუზთან კლუბის გვერდის ავლით მოლაპარაკებაში დასდო ბრალი.

გაზეთები წერენ, რომ ვუდისა და ტაივოს სანაცვლოდ ბეიტსი 24 მილიონ გირვანქას ითხოვს. დენი რაუზი კი „ლიდსში" დარჩა.

აქ ისევ ილვიძებს „ჩელსისა" და ეშლი კოულის საიდუმლო მოლაპარაკების ძველი სკანდალი და ბეიტსი, ხლართვების ოსტატი, ძნელად რომ დამარცხდეს.

„ჩელსი" ამ ამბავს უარყოფს, ადასტურებს იმას, რომ ის ერთი ფეხბურთელი თავის დროზე დაიწუნა, ორი კი იყიდა.

„ლიდსის" პატრონი ფიფაში და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში საჩივრის გაგზავნას აპირებს. მისი აზრით, „ჩელსი" მკაცრად უნდა დაისაჯოს. სამ ფეხბურთელთან არალეგალურად მოლაპარაკებისთვის 9 ქულის ჩამოჭრას და ჩელსელთა ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთას მოითხოვს.

შეგახსენებთ, რომ ეშლი კოულთან დაკავშირებული შარშანდელი სკანდალის გამო „ჩელსი" პრემიერლიგას მინუს სამი ქულით დაიწყებს.



# ხეტაფრე ქართველებმა გერმანელები აგუტ-გუტეს

**გერმანულ** შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ დაგეგმილი არაოფიციალური ამხანაგური შეხვედრა გამართა ესპანეთის პრიმერადივიზიონელ „ხეტაფესთან“.

მატჩი ქალაქ ბიტბურგიდან 15 კილომეტრით დაშორებულ უტჩაიდში გაიმართა და 1:1 დასრულდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მატჩს გერმანიაში მცხოვრები ძალიან ბევრი ქართველი დაესწრო, უტჩაიდში ჩასულან ბელგიაში და ლიხტენშტაინში მცხოვრები ქართველებიც.

თამაში ქართველთა შეტევებით დაიწყო და მათ უკვე მესამე წუთზე შეეძლოთ გოლის გატანა — ახალგაზრდულ ნაკრებს შემატებული ზურაბ იონანიძე, ვინც გუნდის კაპიტანი გახლდათ, პირისპირ გასვლისას მეკარეს შეასკდა და წარბი გაიხეთქა. იონანიძე შესაცვლელი შეიქნა და თამაშში დინამოელი გიორგი მერებაშვილი ჩაერთო.

პირველ ნახევარში სახიფათო მომენტები კი შეიქმნა, მაგრამ გოლები შესვენების შემდეგ გავიდა. ანგარიში ბერნდ შუსტერის შეგირდებმა გახსნეს: 63-ე წუთზე ფოელიომ იხეირა. ქართველებმა კი ათიოდ წუთში გაათანაბრეს. მერებაშვილმა ლამაზი დარტყმით დააგვირგვინა ბენაშვილ-გოცირიძის კომბინაცია — 1:1.

მატჩის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი რალფ მინგე კმაყოფილი დარჩა: „გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბიჭებმა ზედმიწევნით კარგად შეასრულეს ის ტაქტიკური დავალება, რომელიც მატჩის წინ მივეცით. განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ დაცვის ცენტრში გვაძაბიას და თომაშვილის თამაშით. გამოვარჩევ გამოცდილ გრიგოლ



კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე

ჭანტურიასაც, რომელმაც ორი საკმაოდ სახიფათო დარტყმა მოიგერია და უნარიანად ხელმძღვანელობდა დაცვას“.

*საქართველოს ნაკრები:* *გ. ჭანტურია, სეთურიძე, გვაძაბია, თომაშვილი, ნავალოვსკი, განუგრავა (ბჟალავა 60), გრიგალაშვილი, კახელიშვილი (ბენაშვილი 46), კობახიძე, გოცირიძე, იონანიძე (მერებაშვილი 4)*

*მწვრთნელი: რალფ მინგე*

*„ხეტაფე“: ლ. გარსია, პარედესი, სელესტინი, ფოელიო, სოუზა, პაჩონი, რედონდო, გიზა, პენია, კორტესი, ნაჩო გონსალესი*

*შეცვლაზე შევიდნენ: ბოტილიო, ალბერტო, სანჩესი*

*მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი*

**ბაჩა ზალამბერიძე**

# რუსთავის ოლიმპი კიკნაძეს ჩააბარეს

**ნოდარ აკობიას** წასვლის შემდეგ რუსთავის „ოლიმპში“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას გიორგი კიკნაძე შეასრულებს, ვინც მანამდე აკობიას ასისტენტი იყო.

კიკნაძე „ოლიმპს“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ორ-სამ ტურში უხელმძღვანელებს და კარგი შედეგის შემთხვევაში, შესაძლოა, „ოლიმპის“ დამრიგებლობა გაიხანგრძლივოს. „ოლიმპში“ გვითხრეს, რომ ისინი შანსს აძლევენ ახალგაზრდა მწვრთნელს.

შეგახსენებთ, რომ კიკნაძეს ეროვნულ ნაკრებში 10 მატჩი უთამაშია, ხოლო მთავარ მწვრთნელად აქამდე არასდროს უმუშავია.

**ლუკა თალაკვაძე**

# ლომიძე-ზიმბრუ მოგვარებულია

**„ბათუმის“** ყოფილი მცველი მამუკა ლომიძე კარიერას კიშინიოვის „ზიმბრუში“ გააგრძელებს.

ქართველ ფეხბურთელს მოლდოველებთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ „ზიმბრუს“ სატრანსფერო ფურცელი უკვე გაუგზავნა და ლომიძის კლუბში ჩარიცხვაც დროის საქმეა.

მამუკა ლომიძე, ვისაც „ბათუმამდე“ „როსტოვში“, ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცში“ და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია, კიშინიოვში რამდენიმე კვირის წინ გაემგზავრა, ახალი სეზონისთვის „ზიმბრუსთან“ ერთად ემზადებოდა და აგერ, კონტრაქტამდეც მივიდა.

**ლუკა თალაკვაძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

CHAMPIONS LEAGUE

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

*სპარტაკი (რუსეთი)* 0:0 შერიფი (მოლდოვა) (1:1)
*დინამო (უკრაინა)* 4:0 მეტალურგსი (ლატვია) (4:1)
მიუპა (ფინეთი) 2:2 *კოპენჰაგენი (დანია)* (0:2)
*სტიაუა (რუმინეთი)* 3:0 ნოვა გორიცა (სლოვენია) (2:0)
*რაბოტნიჩკი (მაკედონია)* 4:1 დებრეცენი (უნგრეთი) (1:1)
*რუჟომბეროკი (სლოვაკეთი)* 3:1 იურგორდენი (შვედეთი) (0:1)
*ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)* 3:0 კორკ სიტი (ირლანდია) (1:0)
*ზალცბურგი (ავსტრია)* 2:0 ციურიხი (შვეიცარია) (1:2)
*ლეგია (პოლონეთი)* 2:0 ჰაფნარფიორდური (ისლანდია) (1:0)
შიროკი ბრიეგი (ბოსნია) 0:0 *ჰარტსი (შოტლანდია)* (0:3)
*დინამო (ხორვატია)* 5:2 ეკრანასი (ლიტვა) (4:1)
ვოლერენგა (ნორვეგია) 2:2 *ბოლესლავი (ჩეხეთი)* (1:3)

### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

ლევსკი (ბულგარეთი) — კიევო (იტალია)
სპარტაკი (რუსეთი) — ლიბერეცი (ჩეხეთი)
შახტარი (უკრაინა) — ლეგია (პოლონეთი)
ზალცბურგი (ავსტრია) — ვალენსია (ესპანეთი)
ჰარტსი (შოტლანდია) — აეკ (საბერძნეთი)
ცსკა (რუსეთი) — რუჟომბეროკი (სლოვაკეთი)
მილანი (იტალია) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
გალათასარაი (თურქეთი) — ბოლესლავი (ჩეხეთი)
სტანდარდი (ბელგია) — სტიაუა (რუმინეთი)
აუსტრია (ავსტრია) — ბენფიკა (პორტუგალია)
დინამო (ხორვატია) — არსენალი (ინგლისი)
კოპენჰაგენი (დანია) — აიაქსი (ჰოლანდია)
ჰამბურგი (გერმანია) — ოსასუნა (ესპანეთი)
დინამო (უკრაინა) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ლივერპული (ინგლისი) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
ლილი (საფრანგეთი) — რაბოტნიჩკი (მაკედონია)

*პირველი მატჩები გაიმართება 8-9 აგვისტოს, საპასუხოები — 22-23 აგვისტოს*

## გადაწყვეტილება მიღებულია
### შოთა ალკმაარში გახანგრძლივებით რჩება



**თითქმის** ერთთვიანი ყოყმანის შემდეგ 33 წლის შოთა არველაძემ გადაწყვეტილება მიიღო — ესპანური „ლევანტეს“ წინადადებაზე უარი თქვა და „ალკმაარში“ რჩება.

არველაძეს „ალკმაარში“ დარჩენა იმანაც განაპირობა, რომ ალკმაარელებმა მას კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს. მოქმედი კონტრაქტი შოთას აზ-თან 2007 წლის ზაფხულამდე აკავშირებს და კლუბმა მას თანამშრომლობის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება შესთავაზა.

მოკლედ, არველაძე „ალკმაარში“ იმ პირობით რჩება, რომ მასთან ხელშეკრულებას 2008 წლის ზაფხულამდე გააგრძელებს.

**დავით თავართქილაძე**

## გერმანია

ლიგის თასი
ნახევარფინალი

*ბაიერნი* 0:0(პენ.4:1) შალკე

## ნორვეგია

ტიპელიგა
გადადებული მატჩი

ლილესტრიომი 2:0 ბრანი

## დანია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი

ვაილე 1:3 ოდენსე

## შვედეთი

ალსვენსკა
XIII ტური

ჰეკენი 0:2 გაის

# ტოპიმ კოპენჰაგენში გახოკიძესაც უხმო

**ევრო 2008-ის** შესარჩევ ციკლს საქართველოს ეროვნული ნაკრები 16 აგვისტოს იწყებს სტუმრად ფარერებთან მატჩით და გუნდის თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა საამმატჩოდ სხვათა გარდა ჰოლანდიური „ტვენტეს“ გოგა გახოკიძეც გამოიძახა, თუმც გახოკიძის ნაკრებში თამაში კვლავაც სათუოა.

2005-06 წლების სეზონი გახოკიძეს ტრავმიანობის გამო, ფაქტობრივად, გაუცდა. სეზონის დასრულების შემდეგ გახოკიძე შვედეთში გაემგზავრა სამკურნალოდ და იქაური ექიმის, სიმონ ბაკივის თერაპიით მომჯობიდა კიდეც.

— ახლა გაცილებით უკეთ ვარ და უკვე ათი დღეა, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. სეზონისწინა ბოლო ამხანაგურ მატჩებში კი არ ვითამაშია, რადგან, როცა ვარჯიშზე დიდად ვიტვირთვები, კუნთები მაინც მეჭიმება — ორჯერადი ვარჯიშებისას ტრავმები კვლავ მახსენებს თავს, თუმც უწინდელივით მწვავედ არა. სრულად გამოჯანმრთელებას ალბათ კიდევ სჭირდება დრო. ტოპმიოლერმა დამირეკა და მითხრა, 13 აგვისტოს კოპენჰაგენში იყავი, ფარერებზე მივემგზავრებითო. ძალიან მინდა, რომ ნაკრებში წასვლამდე „ტვენტეში“ ერთი თამაში მაინც ვითამაშო. 10 აგვისტოს უეფას თასზე „ლევადიას“ ვხვდებით და თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, იქნებ ვითამაშო — გვითხრა გუშინ გახოკიძემ.

**დავით თავართქილაძე**

## ამხანაგური მატჩები

ბოხუმი (გერმანია) 3:1 ოფი (საბერძნეთი)
ფიურტი (გერმანია) 1:1 პანიონიოსი (საბერძნეთი)
ჰერენვენი (ჰოლანდია) 4:2 ვოენდამი (ჰოლანდია)
ესენი (გერმანია) 2:1 მიონხენგლადბახი (გერმანია)
სპარტა (ჰოლანდია) 1:2 ვოლენდამი (ჰოლანდია)
ვენლო (ჰოლანდია) 1:3 ვიტესი (ჰოლანდია)
ლიკო (იტალია) 0:2 მილანი (იტალია)
პალერმო (იტალია) 4:2 ნაპოლი (იტალია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# რთული თამაში მარტივი წესებით





ვლადიმერ დომოვჩისკის (№17) გოლმა ინტრიგა მალევე ჩაკლა

თბილისი. 2 აგვისტო. 19 საათი. მიხეილ მესხი. 5 500 (ტევადობა 25 600)

**სიონი 0:2 ლევსკი (0:2)**

0:1 დომოვჩისკი (18). 0:2 ე. ანგელოვი (90)

**სიონი:** ბათიაშვილი, რაქვიაშვილი, ფრიდოლინი, ჭიჭვეიშვილი, შავგულიძე, ზ. ჭელიძე, ბაჯელიძე (ქუცურუა 70), ვ. უგრეხელიძე, ა. ალავიძე, ევოჩე (ქარდავა 64), ჩასემი (ოქროპირიძე 75)
*სათადარიგონი:* ბობღიაშვილი; სვანიძე, ლ. ჭელიძე, ბ. ცხადაძე
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**ლევსკი:** პეტკოვი, მილანოვი, ერომოიგბე (ბორნოსუზოვი 77), ბორისოვი, დომოვჩისკი, ივანოვი, ხ. ანგელოვი, ტელკისკი (ე. ანგელოვი 78), ვაგნერი, ბარდონი (კოპრივაროვი 77), ტოპუზაკოვი
*სათადარიგონი:* მიხაილოვი; ხრისტოვი, იოვოვი, მინევი
**მწვრთნელი:** სტანიმირ სტოილოვი

**გაფრთხილება:** ბარდონი (17), ზ. ჭელიძე (57), ალავიძე (64, 67), შავგულიძე (71), დომოვჩისკი (77)

**გაძევება:** ალავიძე (67)

**მსაჯი:** სელჩუკ დერელი (თურქეთი)

**უეფას დელეგატი:** ალან სნოდი (ჩრდ. ირლანდია)

**დავით თავართქილაძე**

**პირველ** ეტაპზე „სიონმა“ მასზე მდიდარი „ბაკი“ წააქცია და ეს სიურპრიზი თუ არა, სასიამოვნო ამბავი ნამდვილად იყო. „სიონისგან“ „ლევსკის“ ძლევა კი სენსაცია იქნებოდა, მაგრამ ბოლნისელებს არ ჰყავთ ისეთი გუნდი, სასწაულების მოხდენა შეეძლოს.

„ლევსკის“ ფეხბურთელები მოედანზე ღონივრად იდგნენ, არ ფაფხურობდნენ, არც მიმზიდველად თამაშობდნენ, მაგრამ სივრცე და დრო მათი იყო — „ლევსკი“ არ არის დროს ჩამორჩენილი გუნდი და „სიონთან“ პირველ მატჩში დაბევებული ფორა ის კრედიტიც იყო, რაც თავდაჯერებულობას მატებდა.

რა უნდა ყოფილიყო „სიონის“ იარაღი ასეთ შემთხვევაში? ალბათ დრომოჭმული დევიზი ოდინდელი პიონერული გაზეთებისა — ნაპერწკლისგან ალი აინთება!

„სიონის“ კვესი საკუთარი კედლები და მწვრთნელის დარიგება-შეფუცხუნება უნდა ყოფილიყო, რასაც ფეხბურთელთა მიერ დანთებული ცეცხლი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ „ლევსკისთან“ მოგიზგიზე ფეხბურთელი „სიონში“ არავინ აღმოჩნდა.

ყველაფერი ეს ალბათ ოდენ პოსტულატია „სიონის“ მარცხის ასახსნელად. ფეხბურთი ძალიან რთული თამაშია მარტივი, ყველასთვის გასაგები წესებით. მარტივია იმის თქმა, რომ „სიონი“ თავისი ფინანსებით, ინფრასტრუქტურით და გამოცდილებით „ლევსკის“ ვერ დაეტოლება, მაგრამ რთულია მთელი სისავსით აღწერო ყველა ის ნიუანსი, რაც მოედანზე ხდება, რითიც ერთი გუნდი ამარცხებს მეორეს, რითიც ხანდახან სუსტი და ნაკლებადშეძლებული უგებს ძლიერს და მდიდარს.

როგორც უნდა იყოს, „სიონის“ წლევანდელი გამოსვლა ევროსარბიელზე დასარცხვენი არ არის — ბოლნისელებმა ერთი ეტაპი გაიარეს და ეს ალბათ მათი მაქსიმუმი იყო.

კახა ცხადაძემ სოფიური მატჩისგან განსხვავებული შემადგენლობით ათამაშა გუნდი — ლაშა ჭელიძის და გიორგი ქუცურუას ნაცვლად სასტარტოში ზაზა ჭელიძე და მემეჯი ევოჩე გაამწესა. ცვლილებები იყო „ლევსკიშიც“, მაგრამ ამას ალბათ გავლენა არ მოუხდენია შეხვედრის შედეგზე. თუმც 19 წლის ზაზა ჭელიძის სასტარტოში თამაში ცხადაძის საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება იყო. ისიცაა, რომ ცხადაძეს დიდი არჩევანი არ აქვს და ვინძლო, გადაწყვეტილებებს იძულებით იღებს.

მოედნის ცენტრში უპირატესობის მოპოვება „სიონს“ ძალიან უჭირდა. „ლევსკი“ მხოლოდ ცენტრში კი არა, მოედნის ყველა იმ მონაკვეთზე ახერხებდა რიცხობრივი უპირატესობის შექმნას, სადაც ბურთი ტრიალებდა. ფლანგური გარღვევები და არითმული აფეთქებები — ამის გარდა „სიონს“ სხვა შანსი არ ჰქონია და საგოლე მომენტებიც აქედან გამოადნო.

არჩილ ალავიძის ფლანგური პასი და ლევან ბაჯელიძის ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმული ბურთი ბულგარელ მცველს მოხვდა; ჭელიძე-ბაჯელიძის კომბინაცია ვლადიმერ უგრეხელიძემ მყისიერი დარტყმით კი დაასრულა, მაგრამ 6-7 მეტრიდან მიზანს ააცილა; ალავიძის პასით ევოჩე აღმოჩნდა საგოლე პოზიციაში და მეტად უხეიროდ, განზე დაარტყა.

სამივე ეს მომენტი „სიონმა“ ვალერი დომოვჩისკის გოლის შემდეგ შექმნა — ბულგარელთა ფორვარდმა კარგად ისარგებლა „სიონის“ მცველთა პოზიციური შეცდომით, კარიდან გამოსულ ზურაბ ბათიაშვილსაც გასცდა და ისე შეაგდო.

პირველ ტაიმში დომოვჩისკს კიდევ ორი საგოლე შანსი ჰქონდა, მაგრამ ბათიაშვილმა ჯერ მისი თავური უკუაგდო, პირველი ტაიმის ბოლო წ[illegible]თებზე კი ფეხით მოიგერია თით[illegible]ქმის პირისპირ დარჩენილი დომოვჩისკის დარტყმა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „სიონმა“ ქუცურუას და უგრეხელიძის წყალობით ორჯერ ფლანგებიდან მსუბუქად უჩხვლიტა მეტოქეს. „ლევსკიმ“ საქართველოს ჩემპიონს რამდენიმე სახიფათო მომენტით უპასუხა, ხოლო ალავიძის გაძევების შემდეგ „სიონი“ თამაშის ჩამთავრებისთვის ირჯებოდა, „ლევსკი“ კი მშვიდად აგორებდა ბურთს და დომოვჩისკის და მიროსლავ ივანოვის გაფლანგულ მომენტებს ბოლოსკენ გოლიც მიაყოლა — ემილ ანგელოვი ბათიაშვილთან პირისპირ დარჩა და 0:2.

*სტანიმირ სტოილოვი:* მეტოქეზე მეტი საგოლე შანსი გვქონდა და უპირატესობა გამოვიყენეთ. შემადგენლობაში ცვლილებები იმიტომ მოვახდინე, რომ ამ მატჩამდე ორი დღით ადრე ბულგარეთის სუპერთასზე ვითამაშეთ და ცვლილებები აუცილებელი იყო.

*კახა ცხადაძე:* „ლევსკი“ „სიონზე“ მაღლა დგას ოსტატობით — საგოლე მომენტებს იყენებს, ჩვენ კი ამას ვერ ვახერხებთ. „ლევსკისთან“ სოფიაში ორივე გოლი თამაშგარე მდგომარეობის შემდეგ გაგვიტანეს, მაგრამ სოფიაშიც და ახლაც გოლები ჩვენი მცველების პოზიციურ შეცდომებს მოჰყვა. სანამ კაცნაკლულნი დავრჩებოდით, ეპიზოდებში კარგად ვთამაშობდით. რაც შეეხება ალავიძის გაძევებას, იმ ეპიზოდში ქუცურუა დაჯარიმდა და თუ მსაჯმა ჯარიმისთვის და არა სხვა რამისთვის უჩვენა მეორე ყვითელი ბარათი, ეს შეცდომა იყო.





მალხაზ ასათიანი მცველებს შორის ჯერჯერობით საუკეთესოა

# სამი ქართველი რუსულ ეკვატორზე

## ასათიანი, მუჯირი და გოგუა პრემიერლიგას ექვსი მხრიდან უტევენ

**პოპულარულმა** რუსულმა გამოცემა „სპორტ-ექსპრესმა“ ტრადიციული შედეგები გამოაქვეყნა და სასიამოვნოა, რომ სხვადასხვა ნომინაციებში ქართველი ფეხბურთელები მოწინავე ადგილებზე არიან.

პრემიერლიგამ უკვე ლამის ეკვატორი გადალახა და თუ ჩვენებურებმა ასე გააგრძელეს თამაში, სეზონის ბოლოს აუცილებლად მოიპოვებენ პირად ჯილდოებს.

მოკლედ, აი, შედეგებიც:

### პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელი

1. ჟო (ცსკა, ბრაზილია) — 6.32 ქულა
2. დმიტრი ლოსკოვი („ლოკომოტივი“, რუსეთი) — 6.29
3. ალეხანდრო დომინგესი („რუბინი“, არგენტინა) — 6.15
4. **მალხაზ ასათიანი** („ლოკომოტივი“, საქართველო) — 6.13

საუკეთესო მეკარეთა ხუთეულში ვერ მოხვდა ნალჩიკის „სპარტაკის“ ალექსანდრე ჩიხრაძე, თუმც იგი მეექვსე ადგილზეა და მცირედით ჩამორჩება დანარჩენებს.

### საუკეთესო მცველი

1. **მალხაზ ასათიანი** — 6.13
2. მეტიუ ბუტი („კრილია“, სამხრეთ აფრიკა) — 5.92
3. სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა, რუსეთი) — 5.89

### საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველი

1. ევგენი ალდონინი (ცსკა, რუსეთი) — 6.07
2. ელვერ რახიმიჩი (ცსკა, ბოსნია) — 5.89
3. რომან კონცედალოვი („ნალჩიკი“, რუსეთი) — 5.88
4. **გოგიტა გოგუა** („ნალჩიკი“, საქართველო) — 5.83

### საუკეთესო გამთამაშებელი

1. ეგორ ტიტოვი („სპარტაკი“, რუსეთი) — 6.04
2. **დავით მუჯირი** („კრილია“, საქართველო) — 5.91
3. მილოშ კრასიჩი (ცსკა, სერბეთი) — 5.86

### საუკეთესო დებიუტანტი

1. ჟო — 6.32
2. **დავით მუჯირი** — 5.91
3. რომან კონცედალოვი — 5.88
4. სერგეი ფილიპჩუკი („ნალჩიკი“, რუსეთი) — 5.85
5. **გოგიტა გოგუა** — 5.83

### საუკეთესო ლეგიონერი

1. ჟო (ბრაზილია) — 6.32
2. ალეხანდრო დომინგესი (არგენტინა) — 6.15
3. **მალხაზ ასათიანი** (საქართველო) — 6.13



დავით მუჯირი



გოგიტა გოგუა

# თბომავალი ლურჯ-თეთრი მუნდშტუკით

## მაქსიმუმის მინიმუმი

**უეფას** თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ამერის“ მეტოქე ბერლინის „ჰერტას“ ქართული გუნდი პირველად 1978 წელს შეხვდა — უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში „ჰერტა“ თბილისის „დინამოს“ მეტოქე იყო. მაშინდელ ამბებზე რამდენიმე წერილი მოვიძიეთ იმდროინდელ საბჭოთა პრესაში, რაც ერთობ დაგვეხმარა 28 წლის წინათ ჩატარებული მატჩის აღსაწერად.

სხვათა შორის, მაშინდელ საბჭოთა პრესაში „ჰერტას“ ისტორიაზე არაფერი დაწერილა.

„ჰერტა“ 1892 წელს შექმნა ოთხმა ბერლინელმა ჭაბუკმა, რომლებმა სახელი, ცოტა არ იყოს, უცნაურად შეურჩიეს კლუბს — „ჰერტა“ თბომავალ გემს ერქვა, რომლის კვამლგამშვები ბუთქუნა მილი ლურჯ-თეთრად იყო შეღებილი და კლუბის ტრადიციული ფერებიც იქიდან მოდის. „ჰერტა“ ორჯერ იყო გერმანიის ჩემპიონი (1930, 1931), ბუნდესლიგაში კი ტიტული არ მოუპოვებია.

1978 წელს „ჰერტას“ კუნო კლეცერი წვრთნიდა. ის საკმაოდ ცნობილი სპეციალისტი გახლდათ, ვისი ხელმძღვანელობითაც 1977 წელს „ჰამბურგმა“ თასების მფლობელთა თასი მოიგო.

კლეცერს ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდა თბილისის „დინამოზე“ და დასავლეთგერმანულ მედიაში ამბობდა, ყველაზე უფრო ყიფიანს და შენგელიას უნდა ვუფრთხოდეთო. ინფორმაციის სიმწირეს არც „დინამოს“ დამრიგებელი ნოდარ ახალკაცი უჩიოდა — მან „ჰერტას“ ფრანკფურტის „აინტრახტთან“ თამაში ნახა.

ყიფიანს და შენგელიას კლეცერმა პერსონალური მეურვეები მიუჩინა, რითიც ისინი თამაშიდან ვერ გამოთიშა, მაგრამ შედეგს მაინც მიაღწია — შინ გოლი არ გაუშვია.

„ჰერტა“ ტაქტიკური განსწავლულობით გამოირჩეოდა — ფეხბურთელები ერთმანეთს კარგად აზღვევდნენ, პოზიციებს ხშირად ცვლიდნენ და სისწრაფესაც დროულად უმატებდნენ — 2-3 პასით და სწორი მოძრაობით „ჰერტას“ „დინამოს“ საჯარიმომდე მიჰქონდა ბურთი. ტემპიანი თამაში „დინამოსაც“ გამოსდიოდა, თუმც დაცვაში გერმანელებივით საიმედოდ ვერ გაისარჯა.

პირველი საგოლე მომენტი „დინამომ“ შექმნა — ვლადიმერ გუცაევი მარცხენა ფლანგზე კარგად გაისარჯა, შორეულ ძელთან გაგზავნა ბურთი და მანუჩარ მაჩაიძემ დაახლოებით ათი მეტრიდან შეუჩერებლად დაარტყა — ბურთი ხარიხას მოხვდა.

შემდეგ ყიფიან-შენგელიას დუეტმა გამოიდო თავი. „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი ოლეგ კუჩერენკო წერს, ყიფიანმა შესანიშნავად გაიყვანა შენგელია გარღვევაზე, დინამოელთა ფორვარდი მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ მას ზიდატმა მაისურზე დაქაჩა და წააქციაო. ზიდატი ამ საქციელისთვის ოდენ გააფრთხილეს, რადგან მაშინ ბოლო იმედის ჯარიმაზე არ „აწითლებდნენ“.

პირველი გაშვებული გოლისას დინამოელებმა მოედნის ცენტრში დაკარგეს ბურთი, „ჰერტამ“ ჩინებული კონტრშეტევა განახორციელა და შედეგიანადაც დააგვირგვინა.



„ჰერტას“ ლეგენდა ერიხ ბეერი

მერე კი ფირუზ კანთელაძემ დაუშვა უხეში შეცდომა — მეტოქე ფორვარდს დაუტოვა ბურთი და 0:2.

*ახალკაცი:* „კარგი თამაში გამოვიდა, „ჰერტამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა. მასპინძლებმა ნახევარდაცვაში ძლიერად ითამაშეს, გამოვარჩევდი მათ მეკარესაც. „დინამოში“ კი სხვებზე უკეთესად ითამაშეს კოსტავამ, დარასელიამ, შენგელიამ და ყიფიანმა. ორივე გოლი პასის შესრულებისას უხეში შეცდომების შედეგად გავუშვით.“

*კლეცერი:* „მიმდინარე სეზონში ეს „ჰერტას“ საუკეთესო მატჩი იყო. ორივე გუნდმა კარგი ფეხბურთი აჩვენა, მეტოქედან გუცაევს და შენგელიას გამოვარჩევდი.“

ბერლინის „ჰერტას“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ერიხ ბეერი ტრავმის გამო შეცვალეს. ბეერი შემტევი შუახაზელი გახლდათ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში 1975-78 წლებში გამოდიოდა — 24 მატჩი ითამაშა და 7 გოლი გაიტანა. „დინამოსთან“ დაპირისპირებისას ბეერი უკვე 32 წლის იყო და ნაკრებში აღარ თამაშობდა, თუმც „ჰერტაში“ კვლავაც ლიდერობდა. მაშინდელი „ჰერტადან“ ბუნდესნაკრებში ვერავინ ხვდებოდა, თუ არ ჩავთვლით მეკარე ნიგბურს, ვინც ნაკრების სათადარიგო მეკარედ ითვლებოდა.

თბილისურ საპასუხო მატჩში „დინამომ“ იგივე შემადგენლობით ითამაშა, „ჰერტაში“ კი ოთხი ცვლილება იყო.

ბერლინელები ყრუ დაცვაში ჩადგნენ. „დინამომ“ პირველ ტაიმში 13 კუთხური ჩააწოდა, „ჰერტამ“ ერთი, მეორე ტაიმში კი შეფარდება ასეთი იყო — 11:0.

„დინამომ“ ძალიან ბევრი მომენტი შექმნა „ჰერტას“ კართან, მაგრამ გოლი მხოლოდ ერთი გაიტანა. გაზეთი „ფუტბოლ-ჰოკეი“ წერდა, შენგელიამ ოსტატური, ლამაზი გოლი შეაგდო და რომ არა უხეირო დამაგვირგვინებელი დარტყმები, „დინამოს“ მეტიც უნდა გაეტანაო.

თბილისში მატჩის გასაშუქებლად ჩამოსულმა გერმანელმა ჟურნალისტმა, ყოფილმა ფეხბურთელმა ჰანს ნოვაკმა კი დასძინა: „მაქსიმალური უპირატესობისას მინიმალური ანგარიშით გამარჯვება არ შეშვენის ისეთი კლასის გუნდს, როგორიც თბილისის „დინამოა“...

**დავით თავართქილაძე**

18 ოქტომბერი. ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი“

**ჰერტა 2:0 დინამო**

1:0 ნიუსინგი (42), 2:0 გრანიცა (63)

**ჰერტა:** ნიგბური, ზიდატი, ბრიუკი, ფიორსტერი, ვინერი, ნიუსინგი, ზიდკა, ბეერი (ჰერსდორფი 55), გრანიცა, ბლექშმიდტი, კრემერი

**დინამო:** გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, (სულაქველიძე 65), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია

**გაფრთხილება:** ზიდატი, ქორიძე

1 ნოემბერი. თბილისი. „დინამო“

**დინამო 1:0 ჰერტა**

1:0 შენგელია (57)

**დინამო:** გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, (სულაქველიძე 64), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია

**ჰერტა:** ნიგბური, ზიდატი, ბრიუკი, დიფენბახი, ვაინერი, ნიუსინგი, რასმუსენი (კრემერი 34), ბეერი, გრანიცა, ჰერსდორფი, მილევსკი

**გაფრთხილება:** გ. მაჩაიძე, დიფენბახი, ვაინერი

ეროვნული ბიბლიოთეკა








# ხმა ჩაიწყვიტე, ბარტყო!

## კაციჭამია მხეცს შემოეჭამა

„კაციჭამია“ ტომას გრავესენის დღეები მადრიდის „რეალში“ დათვლილია. როცა დანიელი „ევერტონიდან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადავიდა, მაშინ თამაშის მკაცრი სტილისა და, რა თქმა უნდა, მძვინვარე შესახედაობის გამო ესპანელებმა ამ ფეხბურთელს „ელ ოგრო“, ანუ „კაციჭამია“ შეარქვეს... ჰოდა, დღეს გრავესენი მართლა დევად თუ რაღაც ჯანდაბად გადაიქცა, მისი ქცევა არანაირი მორალს არ შეესაბამება. ყველაზე ცუდი ის არის, რომ „ელ ოგრო“ მეტოქეს კი არა, თანაგუნდელებს ერჩის.

მოგეხსენებათ, ახლა „რეალი“ ავსტრიულ ირდნინგშია სასეზონთაშორისო მზადებაზე. ისიც ყველამ მშვენივრად იცის, რომ სამეფო თეთრებს მწვრთნელად ფაბიო კაპელო ჰყავთ, კაცი, რომელიც დიქტატორული ხასიათით გამოირჩევა და შეგირდისგან სიტყვის შებრუნებას კი არა, ირიბად შეხედვას ვერ იტანს.

რეაქციონერ კაპელოსთან გრავესენი, წესით, თითის წვერებზე უნდა დადიოდეს მაგრამ... „იგი ვარჯიშებზე ყვირის, ღრიალებს, იგინება. ორმხრივ თამაშებზე თანაგუნდელებს ტრავმებს აყენებს და საერთოდ, საძაგლად იქცევა“ — წერს გრავესენის შესახებ მადრიდული „ასი“.

რამდენიმე დღის წინ დანიელმა ახალგაზრდული გუნდის წევრი რუბენ დე ლა რედი გააწამა. საწყალ ბიჭს „კაციჭამიამ“ სახიფათო ვარდნებით ვარჯიშებზე კინაღამ ფეხი მოსტეხა და როდესაც რუბენს დაუჩივლია, გრავესენს მისთვის ყურში უთქვამს: „ხმა ჩაიწყვიტე ბარტყო, თორემ ორივე ფეხს ძირში მოგაძრობ“.

და ჟურნალისტები? ვისაც ტომასის საქციელი გულზე არ ეხატება, მათ შორის პირველნი ფოტორეპორტიორები არიან. „რეალი“ ხომ მსოფლიო ფეხბურთის გრანდია (იმ დაწყევლილ სიტყვა „გალაქტიკოსებს“ აღარ ვახსენებთ) და, ცხადია, სამეფო თეთრების ყველა წვრთნას ჟურნალისტთა და ფოტომონადირეთა დიდი არმია ესწრება. ამას სასტიკად ვერ იტანს გრავესენი — მისკენ მიშვერილ ფოტოკამერებს ხან ბოთლებს ესვრის და ხანაც ერთ ადგილს უჩვენებს... გინებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

კაპელოს რისხვას საზღვარი არ აქვს — იტალიელს ასეთი ჭირვეული მოწაფე არასდროს არ ჰყოლია. ძველი ბიჭები — ტოტი და კასანო — მოათვინიერა, მაგრამ ამ „კაციჭამიას“ რა უნდა უყოს? „მომაშორეთ! თუ გრავესენს ჩემს გუნდში ანარქია უნდა, უმჯობესია, ჯანდაბას იქით უკრათ თავი“ — უთქვამს გაცეცხლებულ მწვრთნელს „რეალის“ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩისთვის.

მადრიდელთა მოთმინების ფიალა სამშაბათს მომხდარმა ინციდენტმა შეავსო. გრავესენმა ვარჯიშის დროს რობინიო წააქცია. ერთხელ, მეორედ და მესამეჯერაც რომ უთავაზა ბრაზილიელს ფეხებში, ექსსანტოსელი ჭკუიდან გადავიდა და დანიელს მუშტი ხეთქა ზურგში. ტომასი ოკეანისგაღმელს წამსვე მიუტრიალდა (ალბათ, შესაჭმელად), მაგრამ საქმეში სხვა რეალელებიც ჩაერთვნენ და მოჩხუბრები დააშოშმინეს.

ჟულიო ბაპტისტას „ელ ოგრო“ ბავშვივით ხელში ეჭირა და მუქარით ეუბნებოდა: „ახლა გაჩერდი, თორემ...“ გრავესენი თუ „კაციჭამიაა“, ბაპტისტას „ბესტიას“ ანუ „მხეცს“ ეძახიან „რეალში“...

ფაბიო კაპელომ ორივე მოთამაშე ვარჯიშიდან გააგდო (უფრო სწორად, გააგდო გრავესენი, რობინიომ კი მწვრთნელის გადაწყვეტილებას არ მოუცადა და მოედნიდან თავისით გავიდა).

„ამ კაცს რაიმე უნდა მოვუხერხოთ, გუნდს მირევს. სასწრაფოდ უნდა მოელაპარაკო გრავესენს“ — მიიღო პრედრაგ მიატოვიჩმა იტალიელისგან მორიგი „დირექტივა“. ჰო, როცა რობინიო გასახდელისკენ მიდიოდა, გრავესენს შეხვდა დ[illegible] შუბლთან თითი დაიტრიალა — ეგ ხელი[illegible]ნ წასული გიჟიაო... ბრაზილიელი ირდნინგის სტადიონზე შეკრებილმა ფანებმა ტაშით გააცილეს, ხოლო გრავესენმა „ჯილდო[illegible]“ სტვენა მიიღო.

ესპანურ მედიაში კი უმალ დაწერეს — „კაციჭამია“ ბრაზილიური მაფიის წინააღმდეგ“. „რეალში“ ექვსი ბრაზილიელი თამაშობს, ერთმანეთის მხარდაჭერა იციან და ვაი, შენს „ელ ოგროს...“

**ლადო ხომერიკი**



**ბრაზილიის** ნაკრების მწვრთნელმა დუნგამ ფრიად ექსპერიმენტული შემადგენლობა დაასახელა. მოგეხსენებათ, პენტკამპეონები 16 აგვისტოს ნორვეგიაში გაა-გორებენ ბურთს. იმ მატჩში არ იქნებიან რონალდინიო, ადრიანო, კაკა, რონალდო, კაფუ და ემერსონი.

დუნგას გამოძახებულთა შორის რვა, გერმანია-2006-ის მონაწილეა, რვა კი — დებიუტანტი.

# დუნგამ რუსეთი გამოიძახა

## არგენტინა და ბრაზილია ლონდონში დაეჯახებიან

„მინდა, ბრაზილიაში მყოფ ფეხბურთელებზე გელაპარაკოთ — თქვა 42 წლის მწვრთნელმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას — მათი მომზადება არათანაბარია. ზოგს დიდი ხანია, არ უვარჯიშია, ზოგი კი უკეთ არის ამ წუთისთვის მომზადებული. ამიტომ, იძულებული ვართ, ამ მდგომარეობის გათვალისწინებით დავგეგმოთ ჩვენი მუშაობა. შანსს ყველას მივცემ, ჩემთან დახურული კარი არ არსებობს. ასე რომ, ყველაფერი საკუთრივ ფეხბურთელებსა და მათ თამაშზე იქნება დამოკიდებული. ჩემი ამოცანა ბრაზილიის ნაკრებისთვის საუცხოო ფორმის, მოტივაციისა და ჟინის დაბრუნებაა.“

მიმომხილველების აზრით, დუნგას მიერ ჩაფიქრებული გუნდი გამოცდილთა და ახალგაზრდათა ნაზავია. ახალწვეულთა შორის არიან ბრაზილიურ გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელები, სამი კი სულაც რუსულ ლიგაშია შემჩნეულია — დანიელ კარვალიო, ვაგნერ ლავი და დუდუ კეპრენსე. ერთი უკრაინიდან არის — ელანიო. ასეთი მიდგომა ძირეულად განსხვავდება დუნგას წინამორბედის, კარლოს ალბერტო პარეირას მიდგომისგან. პარეირა მოთამაშეებს მხოლოდ ტრადიციულ ევროპულ გუნდებში ეძებდა.

„ახალმა ფეხბურთელებმა თავი, მართალია, შედარებით დაბალ დონეზე გამოიჩინეს, მაგრამ შანსს მაინც იმსახურებენ — თქვა დუნგამ და დასძინა — მხოლოდ ბრაზილიაში მოთამაშე ფეხბურთელებით ვერ დავიწყებდი. პრაქტიკა ამტკიცებს, რომ რადიკალურ ცვლილებებს სიკეთე არ მოაქვს, თან მხოლოდ ფეხბურთში კი არა, საერთოდ, ცხოვრებაში. ბრაზილიას ბევრი ჰყავს ისეთი ფეხბურთელი, ნაკრებში გასინჯვას მაინც რომ იმსახურებს. ვიცი, რომ ვრისკავთ, მაგრამ ახლების შემოწმება აუცილებელია.“

ხოლო ნორვეგიის შემდეგ ბრაზილიელები არგენტინელებთან მოსინჯავენ ძალებს და, რაც ძალიან საინტერესოა, მატჩი ლონდონში, „არსენალის“ ახალ სტადიონზე გაიმართება. 7 ოქტომბერს დუნგას პენტაკამპეონები ქუვეითში მიჰყავს, ადგილობრივ ნაკრებთან სათამაშოდ.

**პაპუნა ძიძია**

მეკარეები: გომესი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ფაბიო (კრუზეირო);

მცველები: სისინიო (რეალი, ესპანეთი), მაიკონი (ინტერი, იტალია), ჟილბერტო (ჰერტა, გერმანია), მარსელო (ფლუმინენსე), ლუსიო (ბაიერნი, გერმანია), ჟუანი (ლევერკუზენი, გერმანია), ალექსი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ედმილსონი (ბარსელონა, ესპანეთი), ლუიზაო (ბენფიკა, პორტუგალია);

ნახევარმცველები: ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), ელანო (შახტარი, უკრაინა), დანი კარვალიო (ცსკა, რუსეთი), მორაისი (ვასკუ და გამა), ჟონატასი (ფლამენგო), ჟულიო ბაპტისტა (რეალი, ესპანეთი), ვაგნერი (კრუზეირო);

თავდამსხმელები: დუდუ (ცსკა, რუსეთი), ფრედი (ლიონი, საფრანგეთი), რობინიო (რეალი, ესპანეთი), ვაგნერ ლავი (ცსკა, რუსეთი)



ვაგნერ ლავი





# მატერაცი და მორატი ისრაელ-ლიბანზე

**მარკო მატერაციმ** შვებულება შეწყვიტა და კურორტიდან „ინტერის" მეპატრონესთან, მასიმო მორატისთან სალაპარაკოდ გასწია. როგორც ამბობენ, 33 წლის მსოფლიო ჩემპიონის ვიზიტი ბიზნესმენისთვის მოულოდნელი იყო, ამასთან, არაფერს ამბობენ იმაზე, თუ რა თემები მოიცვეს შეხვედრისას მორატიმ და მატერაციმ. თავად მორატის და მატერაცის პირზე კლიტე ადევთ.

მატერაცი: „გარანტიები? „ინტერისგან" არანაირი ახალი გარანტია არ მჭირდება, იმიტომ, რომ ეს კლუბი ყოველთვის ასრულებდა თავის სიტყვას. არც ჩემს კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებზე გვილაპარაკია".

მორატი: „ძალიან ბევრ საკითხზე ვილაპარაკეთ, ისრაელ-ლიბანის კონფლიქტსაც შევეხეთ, მაგრამ კონტრაქტზე ერთი სიტყვაც არ გვითქვამს"

სხვათა შორის, ჟურნალისტებმა გაიხარეს, რომ ბოლო ხანებში „ინტერის" მწვრთნელი რობერტო მანჩინი მატერაცის ყოველ ტურში ძირითად შემადგენლობაში სულაც არ ათამაშებდა და მორატის მწვრთნელისა და ფეხბურთელის ურთიერთობაზე ჰკითხეს.

„ჭორი, თითქოს მატერაცის და მანჩინის შორის ცუდი ურთიერთობაა, მეც გამიგია, მაგრამ არ მჯერა. ცალკეულ ტელეარხებზე მოსმენილი ამბები ხანდახან მართლა შემაშფოთებდა ხოლმე, მაგრამ ორივე პიროვნებასთან ურთიერთობის საშუალება მაქვს და ისინი მარწმუნებენ, რომ მათ შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს." — უპასუხა მეპატრონემ.

მარკო მატერაცი დაბადებულია ლეჩეში. ის „ინტერში" 2001 წელს „პერუჯადან" გადავიდა და ამ გუნდის მაისურით სერია A-ს 105 შეხვედრაში ითამაშა.

„ჭორები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამჯერად ჩემს შესახებ დაწერილი მხოლოდ და მხოლოდ საგაზეთო ჰედლაინებია და მეტი არაფერი" — ეს კი „ინტერისავე" არგენტინელი თავდამსხმელის, ხულიო კრუზის სიტყვებია. საქმე ის არის, რომ გავრცელებული ხმების თანახმად, კრუზი „იუვენტუსსა" თუ „რომაში" გადადიოდა და ეს იმის მიუხედავად, რომ ფეხბურთელმა ამასწინათ გააგრძელა შავლურჯებთან კონტრაქტი.

„მე იმ გუნდში ვთამაშობ, რომელსაც დიდი საჩემპიონო ამბიციები აქვს. ამბობენ, რომ „ინტერმა" ახალი თავდამსხმელი უნდა შეიძინოს. მე სხვაგან ამ შემთხვევაშიც არ წავალ. წინ ხანგრძლივი, ძნელი სეზონი გველის და „ინტერს" ახალი ვარსკვლავები დიახაც სჭირდება." — დასძინა „ფეიენოორდისა" და „ბოლონიას" ყოფილმა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ მორატიმ ადრე მართლაც გამოთქვა ახალი ფორვარდის შეძენის სურვილი და თან დააკონკრეტა, რომ ის ადრიანოს მეწყვილედ დასჭირდებოდა. სხვა სიტყვებით, ხულიო კრუზი ამთავითვე სათადარიგო მოთამაშედ განიხილება. და ვინ იქნება ეს ახალი თავდამსხმელი? ალბათ, ფიორენტინელი ლუკა ტონი, რომელშიც ფლორენციელები 33 მილიონ დოლარს ითხოვენ, თუმცა სამარქაფო ვარიანტებად „იუვენტუსიდან" მიმავალთ, ზლატან იბრაჰიმოვიჩს და დავიდ ტრეზეგესაც განიხილავენ.

ხულიო კრუზი 32 წლისაა. იგი იტალიაში როტერდამიდან 2000 წლის აგვისტოში გადაბარგდა. თავიდან, სამი წლის განმავლობაში, არგენტინელი თავდამსხმელი „ბოლონიაში" გამოდიოდა, შემდეგ კი 2003-ში „ინტერს" მიაშურა — ეს ის პერიოდია, როდესაც შავ-ლურჯებმა ერნან კრესპო „ჩელსიში" გაუშვეს და მისი შემცვლელი დასჭირდათ.

**პაპუნა ძიდია**

# სექტემბერში ახალი სერია დაიწყება

**იტალიური** ფეხბურთის ლიგამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სერია **A** 10 სექტემბერს დაიწყება და 27 მაისს დამთავრდება. წესით, 27 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ კალჩაპოლის გამოძიებამ და ამით გამოწვეულმა აურზაურმა ჩემპიონატის სტარტი ორი კვირით გადაწია.

მოგეხსენებათ, კალჩოპოლი გამოძიებას აგრძელებს, რომელიც, ალბათ, მთელ აგვისტოს გასტანს. თანაც „იუვენტუსს", „ფიორენტინასა" და „ლაციოს" განაჩენი ოლიმპიურ კომიტეტში აქვთ გასაჩივრებული და შესაძლოა, კიდევ რამე შეიცვალოს. ამიტომ იტალიის ლიგამ არჩია, ზედმეტი თავის ტკივილი აეცილებინა.

რაც შეეხება სერია **B**-ს, ის 9 სექტემბრიდან 10 ივნისამდე გასტანს. იტალიის თასის გათამაშება კი 19 აგვისტოს დაიწყება, ხოლო ორმატჩიანი ფინალი 18 აპრილისა და 9 მაისისთვისაა დაგეგმილი. ქვეყნის სუპერთასი გასული სეზონის ჩემპიონად გამოცხადებულ „ინტერსა" და თასის მფლობელ „რომას" შორის 27 აგვისტოს გაიმართება.

**გიორგი ქაქაბაძე**

### სერია A 2006-2007

იწყება: 2006 წლის 10 სექტემბერს

მთავრდება: 2007 წლის 27 მაისს

შუა კვირის ტურები (ოთხშაბათობით): 2006 წლის 20 სექტემბერი, 2006 წლის 25 ოქტომბერი, 2006 წლის 20 დეკემბერი და 2007 წლის 28 თებერვალი.

დასვენების დღეები (კვირაობით): 2006 წლის 8 ოქტომბერი, 2006 წლის 31 დეკემბერი, 2007 წლის 7 იანვარი და 2007 წლის 25 მარტი.



„ინტერი" და „რომა" ერთმანეთს 27 აგვისტოს სუპერთასისთვის შეხვდებიან

# მოკლე სიმღერა და გრძელი სკამი




**კალიფორნიაში** მოვარჯიშე „ჩელსი" თავის ფრანგ მცველზე, უილიამ გალასზე განაწყენდა.

29 წლის გალასს, რომელსაც აქამდე კლუბის დატოვება უნდოდა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დამატებით შვებულება მოუთხოვია და კლუბსაც მიუცია, ოლონდაც, ფეხბურთელს დათქმული თარიღისთვისაც გადაუცილებია.

„ჩელსიმ" ამის გამო საგანგებო განცხადება გაავრცელა: „წინასასეზონო შეკრება ძალიან მნიშვნელოვანია გუნდის შენებისთვის. ამიტომ, ჩვენ ვერ გავამართლებთ უილიამ გალასს."

ფეხბურთელს „ჩელსისთან" საკონტრაქტო ლაპარაკებიც აქვს, მას ძველი კონტრაქტის ერთი წელიწადი დარჩა და ახლავე უნდა მისი განახლება.

ბევერლი ჰილში კი „ჩელსიმ" ოფიციალურად გამოაცხადა მიხაელ ბალაკი თავის ფეხბურთელად და მას 13 ნომრიანი მაისურაც გადასცა.

ბალაკი სამკაცა ნახევარდაცვაში ფრენკ ლამპარდისა და კლოდ მაკელელეს მხარდამხარ ითამაშებს, თუმცა ძირითადში ადგილისთვის ბრძოლა მოუწევს.

„ჩელსიმ" ჩემი სიძლიერის იცის. ამიტომაც ამიყვანეს — თქვა ბალაკმა მედიდურად— აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ „ჩელსის" ლიდერი შევიქნე, მომეწონა ამ გუნდში გამეფებული სული. ჩემთვის დიდი გამოწვევაა უცხოეთში გადმოსვლა. მგონია, ფრენკ ლამპარდს დიდებულად შევეწყობი... ხოო, ამაღამ გუნდის წინაშე უნდა ვიმღეროთ. აქ ასეთი ტრადიციაა. არ ვიცი, რას ვიღერებ, ვიცი, რომ მოკლე იქნება."

**ირაკლი გამყრელიძე**

# მილანი ლიგისკენ

**უეფას** საგანგებო კომისიამ „მილანი" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაუშვა. ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიური კლუბი სერბულ „ცრვენა ზვეზდას" შეხვდება.

„შეისწავლა რა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნა „მილანის" 2006-07 წლების ჩემპიონთა ლიგაში დაშვებასთან დაკავშირებით, აგრეთვე უეფას მთავარი სადისციპლინო ინსპექტორის დასკვნა და თავად „მილანის" განცხადება, საგანგებო კომისია მივიდა გადაწყვეტილებამდე — „მილანმა" შეჯიბრებაში მესამე შესარჩევი ეტაპიდან მიიღოს მონაწილეობა. კომპეტენტურ საგანგებო კომისიას სხვა არჩევანი არ ჰქონდა, რადგან არ არსებობს იურიდიული ბაზა, რომელიც მოცემულ სპეციფიკურ მდგომარეობას ითვალისწინებდეს და გუნდის შეჯიბრებიდან მოკვეთის საშუალებას იძლეოდეს" — წერია უეფას ოფიციალურ განცხადებაში, სადაც გამოთქმულია ეჭვნარევი წუხილი, რომ „მილანმა" გარიგებაში მონაწილე გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და ზრდილობიანი მუქარა, რომ თუკი „მილანი" ამ ტიპის „მოღვაწეობაში" ასე ან ისე ერთხელაც გაერევა, მკაცრად დაისჯება.

უეფა ამასთან დაკავშირებით კანონების გადახედვასაც აპირებს.

**პაპუნა ძიდია**

# კარლოსი ამოწურავს



„რეალის“ განცხადებით, ბრაზილიელი მცველი რობერტო კარლოსი მადრიდიდან არსად წავა და კონტრაქტის ვადას ბოლომდე ამოწურავს — მოგეხსენებათ, რობერტო კარლოსს „სამეფო კლუბთან“, ხელშეკრულების თანახმად, კიდევ ერთი სეზონი აკავშირებს, ოღონდ იმავ ხელშეკრულებაში ვადის გაგრძელებაზეც არის საუბარი. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენ შეხვედრაში მიიღებს ბრაზილიელი მონაწილეობას.

„რეალის“ ვებგვერდზე წერია: „მარცხენა მცველი, რომელიც ამჟამად გუნდთან ერთად ავსტრიულ შეკრებაზეა, კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ბოლომდე შეასრულებს“.

ცნობილია, რომ 33 წლის რობერტო კარლოსი სამშაბათს შეხვდა „რეალის“ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს და შეიტყო, რომ გუნდის ახალ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს იგი სჭირდება. შეგახსენებთ, რომ ორიოდ თვის წინ რობერტო კარლოსმა „რეალიდან“ წასვლასა და „ჩელსიში“ შესაძლო სამწლიან გადასვლაზე ჩამოაგდო სიტყვა, შემდეგ მას სტამბოლის „ფენერბაჩე“ ეპატიჟებოდა — „ფენერბაჩეში“ ახალი მწვრთნელია რობერტო კარლოსის თანამემამულე ზიკო.

ჩემპიონთა ლიგის სამგზის გამარჯვებულმა ბრაზილიელმა მცველმა გერმანია 2006-ის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულა.

**პაპუნა ძიდია**



# ჩევანტონი უპრობლემოდ

**ურუგვაელი** ხავიერ ჩევანტონი ოთხი წლით ესპანური „სევილიას“ ფეხბურთელი გახდა. „მონაკოს“ ექსმოიერიშე ანდალუზიელებმა 8 მილიონ ევროდ იყიდეს.

„შეთანხმებას მალე მივაღწიეთ. პრობლემები არ გვქონია“ — მოკლედ მოუჭრა მედიას „მონაკოს“ სპორტულმა დირექტორმა მარკ კელერმა, როცა ჟურნალისტები „ლუი მეორეს“ კლუბიდან ჩევანტონის გადაბარგებაზე შეეკითხნენ.

25 წლის ხავიერ ჩევანტონმა სამშაბათს ბოლოს ივარჯიშა „მონაკოს“ მაისურით. იმავე საღამოს ურუგვაელი სევილიაში ჩავიდა კონტრაქტზე ხელის მოსაწერად.

ოკეანისგაღმელი თავდამსხმელი ფრანგულ „მონაკოში“ 2004 წელს ჩაირიცხა. ჩევანტონმა 50 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 20 გოლიც შეაგდო.

**ლადო ხომერიკი**

# ავატის დეტალები

**ლა კორუნიის** „დეპორტივო“ ისრაელის ნაკრების მეკარეს, დუდუ ავატის შეიძენს. „რიასორის“ ბინადრები უკვე თითქმის ყველაფერზე მოელაპარაკნენ სანტანდერის „რასინგს“, მცირე დეტალებიღაა შესათანხმებელი. ავატი გალისიელთა მთავარი სამიზნე იყო ამ ზაფხულს.

„რასინგი“ გოლკიპერში 1,5 მილიონ ევროს, პედრო მუნიტისს, რუბენ კასტროსა და მომოს მიიღებს, ავატი კი „დეპორთან“, სავარაუდოდ, ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

„მუნიტისს ველოდებით, რომელმაც „რასინგთან“ პირადი კონტრაქტის დეტალები უნდა შეათანხმოს. ტრანსფერს ოფიციალურად შემდგარად ამის მერე გამოვაცხადებთ. გამოდის რომ, ფეხბურთელების ჩათვლით, სანტანდერელები ავატში 5 მილიონ ევროს მიიღებენ. თავად დუდუ ლაკორუნიელებს ყველაფერზე მოელაპარაკა და ძალიან გახარებულია. მის კარიერაში ეს მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯია. „დეპორტივო“ პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია“ — თქვა ავატის აგენტმა რონენ კაცავმა.



როგორც ამბობენ, „დეპორის“ მთავარი მწვრთნელი ხოაკინ კაპაროსი ავატზე დიდ იმედებს ამყარებს და სურს, რომ იგი მომავალ სეზონში გუნდის ძირითადი მეკარე იყოს. თუმცა კაპაროსს გული სწყდება იმაზე, რომ „რიასორს“ მუნიტისი ტოვებს.

**ძოძი ძანძელაძი**

# რეალი ამერიკულად

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ექსფეხბურთელი მარსელო სოსა ერთი სეზონით არგენტინულ „რივერ პლეიტში“ ითამაშებს იჯარით.



ურუგვაელმა სოსამ „რივერში“ სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და ჟურნალისტებს უთხრა, „რივერ პლეიტი“ ამერიკული მადრიდის „რეალი“ არისო. „მონუმენტალის“ კლუბს ახლა ლეგენდარული დანიელ პასარელა წვრთნის და 28 წლის მარსელო სოსასაც იგი დამოძღვრავს.

პასარელას ახალმა შეგირდმა ესპანეთში წინა სეზონი „ოსასუნაში“ გაატარა, ასევე იჯარით. სოსა კონტრაქტით „ატლეტიკოს“ ეკუთვნის, თუმცა „ვისენტე კალდერონის“ ბიჭების ახალი თავკაცის, ხავიერ აგირეს გეგმებში არ შედის.

მარსელო სოსა სამომავალსეზონოდ მეექვსე შენაძენია „რივერ პლეიტისთვის“ არიელ ორტეგას, ფერნანდო ბელუჩის, დუარდო ტუსიოს, ფედერიკო ლუსენჰოფისა და მეკარე ბერნარდო ლეიენდას შემდეგ.

**ლადო ხომერიკი**

# ბიზარის ხიმნასტიკი



**კატალონიურმა** „ხიმნასტიკმა“ „ვალიადოლიდიდან“ არგენტინელი მეკარე ალბანო ბენხამინ ბიზარი იყიდა. ეს მესამე შენაძენია „ხიმნასტიკისთვის“ 2006-07-ის პრიმერას წინ. აქამდე გუნდში მარცხენა მცველი მინგო და ნახევარმცველი ხუან დიასი მივიდნენ.

ალბანო ბიზარი 1977 წლის 9 ნოემბერს დაიბადა არგენტინულ ესტურიაში. მისი სიმაღლე 1,91 მეტრია და 83 კილოს იწონის. თავიდან პატაგონიური „რასინგის“ კარს იცავდა (1995-1999), შემდეგ მადრიდის „რეალში“ ერთი სეზონი ითამაშა და „ვალიადოლიდს“ მიაშურა. ბიზარის გადასარევი ჯილდო აქვს — 2000 წელს რომ „რეალმა“ ჩემპიონთა თასი მოიგო, არგენტინელი კასტილიური გრანდის სათადარიგო გოლკიპერი გახლდათ. ალბანო ბიზარიმ სეგუნდადივიზიონში „ვალიადოლიდთან“ ერთად 33 მატჩი ჩაატარა.

**ლადო ხომერიკი**

# ფერენც ჟუჟას სიკვდილი



**უნგრული** ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი უდიადესი ბომბარდირი ფერენც ჟუჟა გუშინ, ოთხშაბათს, 83 წლისა გარდაიცვალა. ცნობა, 463 შეხვედრაში 393 გოლის ავტორის გარდაცვალების შესახებ, მისმა ყოფილმა კლუბმა „უიპეშტმა“ გაავრცელა. ჟუჟამ იისფერთეთრი მაისურით 1941-1960 წლებში ითამაშა და გუნდის გულშემატკივართა ისეთი სიყვარული დაიმსახურა, რომ 2003 წელს მისი სახელი სტადიონსაც კი დაარქვეს.

ფერენც ჟუჟამ უნგრეთის ნაკრებში 24-ჯერ ითამაშა და 18 გოლი გაიტანა, ხოლო ფეხბურთელობისთვის თავის დანებების შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მან იმუშავა პოლონეთში, სადაც „გურნიკს“ წვრთნიდა და 1970-1971 წლებში ქვეყნის თასი მოაგებინა. შემდეგ ჟუჟა გადავიდა ესპანეთში, კერძოდ „ბეტისში“, სადაც ხუთი წელიწადი დაჰყო და 1977 წელს კვლავ თასი მოიპოვა. „ბეტისიდან“ კი მადრიდის „ატლეტიკოს“ მიაშურა, ხოლო 1979 წელს შინ დაბრუნდა.

**პაპუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲒᲐᲜᲣᲠᲘ ᲩᲐᲥᲣᲩᲘ



ჯონ პანცილი მსოფლიოს ჩემპიონატზე ისრაელის დროშას აფრიალებდა

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲛᲐ** „ვესტ ჰემმა" განელი მარჯვენა მცველი ჯონ პანცილი იყიდა. ლონდონელებმა მასში ისრაელის „ჰაპოელს" დაახლოების 1 მილიონი გირვანქა გადაუხადეს და ცოტას კიდევ დაუმატებენ, თუ 25 წლის ფეხბურთელი „ჩაქუჩების" რიგებში რეგულარულად და წარმატებით ითამაშებს. პანცილმა „აპტონ პარკის" ბინადრებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

განელმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხივე მატჩში ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და საკმაოდ კარგადაც. შედეგად მას ბევრი მსურველი გამოუჩნდა. წინადადებები ჰქონდა ბელგიის ჩემპიონ „ანდერლეხტისგან", ფრანგული „მარსელიდან" და „რენიდანაც", თუმცა ფეხბურთელმა ყველას „ვესტ ჰემი" არჩია.

„გუნდი შემოთავაზებული ფულის რაოდენობის მიხედვით არ აგვირჩევია. სხვა წინადადებები სარფიანი იყო, მაგრამ ჯონისთვის პირველ ადგილზე „ვესტ ჰემი" იდგა. მას მოსწონს კლუბი და ქალაქი. გუშინ სტადიონი ნახა, ძალიან გახარებული და კმაყოფილია. გუნდს მშვენიერი მწვრთნელი და ფეხბურთელები ჰყავს." — განაცხადა პანცილის აგენტმა ჯეკი მუიალმა.

„ჩაქუჩების" თავკაცი ალან პერდიუ მთელი ზაფხული მარჯვენა მცველებს ეძებდა და პანცილამდე, „პრესტონიდან" პერსპექტიული ტაირონ მირსიც დაიმატა. ამ ორი ფეხბურთელის გარდა, „ვესტ ჰემი" აქამდე ჯონათან სპექტორით, ლი ბოიერითა და კარლტონ კოულით გაძლიერდა.

**ᲙᲝᲙᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ**

# ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐ ᲛᲐᲩᲐᲜᲩᲐᲚᲘᲡᲒᲐᲜ



**ᲠᲝᲛᲐᲠᲘᲝ** ამერიკის შეერთებული შტატებიდან ისევ მშობლიურ „ვასკუ და გამაში" დაბრუნებას აპირებს. საქმე ის გახლავთ, რომ ლეგენდარულ კაცს თავისი ამჟამინდელი კლუბი „მაიამი" არ მოსწონს. ბრაზილიური „ო დიას" ცნობით, „რომი" მაჩანჩალა ფლორიდელების მიტოვებას და შინ დაბრუნებას გეგმავს.

„მაიამი" აშშ-ს დაბალ ლიგაში, USL-ში თამაშობს და საშინაო მატჩებს საშუალოდ, მხოლოდ 3 500 გულშემატკივარი ესწრება. თან გუნდი ლიგის 12 მონაწილეს შორის მეცხრე ადგილზეა. რომარიომ „მაიამის" დატოვების სურვილი გამოთქვა" — ვკითხულობთ გუშინდელ „ო დიაში".

რომარიოს კი 1000 გოლის გატანაც განუზრახავს. როგორც თავად ვეტერანი ვარსკვლავი ამბობს, მიზნის მიღწევამდე 24 გოლის შეგდებაღა აკლია. რა პრობლემაა, დაბრუნდება „ვასკუში" და გაიტანს...

**ᲚᲐᲓᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ**

# ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲑᲝᲘᲡᲘ




ემერსონ ბოისი

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲛᲐ** „უიგანმა" „კრისტალ პალასისგან" 27 წლის მცველი, ემერსონ ბოისი შეიძინა. მან კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო „პალასმა" 1 მილიონი გირვანქა მიიღო და 20 ათასს კიდევ ჩაიჯიბავს, თუ ბოისი უიგანელთა რიგებში ხშირად ითამაშებს.

„მას დაცვა უყვარს და ეს კარგად გამოსდის. ერთვება შეტევებშიც. ძალიან სწრაფი, ფიზიკურად ძლიერი და მებრძოლი ფეხბურთელია. ბოისმა უკვე დაამტკიცა, რომ პრემიერლიგაში, მაღალ დონეზე თამაში შეუძლია" — თქვა „უიგანის" მწვრთნელმა პოლ ჯუელმა.

ბოისი, რომელსაც მთელი მარჯვენა ფლანგის კონტროლი ეხერხება, პასკალ ჩიმბონდას შემცვლელად მოიაზრება. ფრანგი მცველი კლუბის გამოცვლას აპირებს. მისი ხელში ჩაგდება ლონდონის „ტოტენჰემს" სურს.

პოლ ჯუელი: „პასკალმა გუნდთან ერთად ვარჯიში განაახალა. „ტოტენჰემმა" მასში ფული და რამდენიმე ფეხბურთელი შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ ამ სახის წინადადება არ გვაკმაყოფილებდა. ჩიმბონდას ფასი 6 მილიონი გირვანქაა და, ვფიქრობ, ძვირი სულაც არ არის. თუ მისი მსურველები ამ თანხას არ გადაიხდიან, იგი კლუბში დარჩება".

„უიგანმა" ბოისამდე ემილ ჰესკი, კრის კირკლანდი, დენი ლანძაატი, ფიც ჰოლი და ტომაშ სივკა დაიმატა.

**ᲙᲝᲙᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ**




# ᲕᲐᲜ ᲓᲔᲠ ᲡᲐᲠᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

**ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ** ნაკრების თავკაცმა მარკო ვან ბასტენმა 16 აგვისტოს დუბლინში ირლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვის 31 ფეხბურთელი გამოიძახა, რომლებიდანაც საუკეთესოებს მალე აირჩევს.

საინტერესოა, რომ გამოძახებულთა შორისაა „ნარინჯისფერთა" ვეტერანი მეკარე ედვინ ვან დერ სარი, რომელსაც ჰოლანდიის ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ჩაუტარებია. 36 წლის გოლკიპერი მუნდიალის მერე სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა, მაგრამ ვან ბასტენმა დარჩენა სთხოვა და, როგორც ჩანს, თავისი გაიტანა.

ნაკრებში პირველად გამოიძახეს „გრონინგენიდან" „ალკმარში" გადაბარგებული გიის ლუირინკი. განაცხადშია „აიაქსის" ფორვარდი კლაასიან ჰუნტელაარიც, რომლის მუნდიალს მიღმა დატოვება ცოტა მოულოდნელი გახლდათ. ახლა კი ახალგაზრდა თავდამსხმელი, ალბათ, ვან ბასტენის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იქნება. მიწვევა მიიღეს შესაბამისად „რეალსა" და „უგანში" გადასულმა რუუდ ვან ნისტელროიმ და დენი ლანძაატმა, ასევე „მიდლსბროს" ახალმა კაპიტანმა ჯორჯ ბოატენგმა. შევახსენებთ, რომ ვან ნისტელროისა და ვან ბასტენს მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას პატარა კონფლიქტი მოუვიდათ და მწვრთნელმა ფორვარდი პორტუგალიასთან მერვედფინალში არ ათამაშა.

**ᲙᲝᲙᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ**

# ᲒᲐᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐ

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი გარი ნევილი თავის თანაკლუბელ კრიშტანუ რონალდუს ცივად შეხვდა. ამის მიზეზად ნევილი იმას ასახელებს, რომ პორტუგალიელს „ოლდ ტრეფორდიდან" წასვლის სურვილი ჰქონდა.

ნევილის წარმომადგენლის თქმით, მცველის განწყობას არანაირი კავშირი არ აქვს მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარ ინციდენტთან. შევახსენებთ, რომ მუნდიალის მეოთხედფინალში უეინ რუნიმ რიკარდუ კორვალუს ფეხებშუა დაარტყა ფეხი, რისთვისაც მსაჯმა მინდვრიდან გააძევა. რონალდუ კი იმ მომენტში თანამემამულეს გამოექომაგა და არბიტრს რუნის დასჯა სთხოვა. ამის გამო თანაკლუბელებს შელაპარაკება მოუვიდათ, მაგრამ მერე შერიგდნენ. როგორც ამბობენ, ცუდი არაფერი მომხდარა და ისინი კვლავ მეგობრებად რჩებიან.

„გარის რეაქცია არანაირად არ ეხება გერმანიაში მომხდარი ინციდენტის მერე, რუნის და რონალდუს მცირე შელაპარაკებას. ნევილს ის არ სიამოვნებს, რომ კრიშტიანუს „მანჩესტერის" დატოვება უნდოდა და ახლა კლუბში ვითომაც არაფერი, ყველა ღიმილით ეგებება" — აღნიშნა ნევილის წარმომადგენელმა.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ**

# ᲔᲨᲚᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ



**„ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲛᲐ"** ეშლი კოულს თავის წიგნში „მეთოფეთა" საკლუბო სურათების გამოყენება აუკრძალა. კოული დღედღეზე „ჩელსიში" გადადის, წიგნში კი „არსენალის" უფროსობა გალანძღულია.

ფეხბურთელს, რა თქმა უნდა სურს, რომ წიგნში „ჰაიბერის" უკვდავი წამების ფოტოები იყოს და კლუბის ფოტოგრაფებიც გახარებულნი არიან, ოღონდ, უფროსობა დაბოლმილია.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ**

# ბედზე გამარჯვება




...**რაოდენ** უცნაურიც უნდა იყოს, მაშინ ყველაზე ახლობელი ადამიანები ჩემს ოპონენტებად გადაიქცნენ. ოჯახმა და მეგობრებმა „ბარსას“ და ბრაზილიის ნაკრების წინაშე მოვალეობა შემახსენეს, მითხრეს, იაპონია-კორეის მუნდიალი წინაა და შენი ფეხბურთიდან წასვლით გულშემატკივრებს მეხს დასცემო. ნამდვილად არ შემძლო, მათი რჩევები არ გამეთვალისწინებინა...

გოლების გატანა კი არ შემიწყვეტია. ბრაზილიიდან დაბრუნების შემდეგ „ანოეტაზე“ „სოსიედადს“ ორი გოლი შევუგდე. ის თამაში „ბარსამ“ 6:0 მოიგო. ის მატჩი ნახა, დამემოწმება, რომ რივალდომ თავისი გატანილი გოლები არ აღნიშნა, თანაგუნდელებისას კი სიხარულით შეხვდა.

დიახ, არაბუნებრივი სიხარული და ფოტოკამერების წინ იძულებით გაღიმება წარსულს მივაბარე. მივხვდი რომ, მიუხედავად ფეხბურთში დარჩენისა, ძველი რივალდო ვეღარ ვიქნებოდი. ამიტომაც იყო, რომ მთელ ქვეყანაზე გაბრაზებულს ვარჯიშზე მოღუშულს მხედავდნენ. თუ იმდროინდელ რომელიმე თამაშში მაინც გამოჩნდა მომღიმარი რივალდო, მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდოდა, კონფლიქტით დამესრულებინა.

შემდეგი მატჩი ლეგენდარულ „სან სიროზე“ გავმართეთ. მერე „კამპ ნოუზე“ ლუიშ ფიგუთი გაძლიერებული „რეალი“ მივიღეთ და „ლიდსსაც“ ვესტუმრეთ ჩემპიონთა ლიგაზე გზის გასაგრძელებლად.

რას უნდა ელოდე ფეხბურთელისგან, რომელიც ახლახან გააქიქეს სტვენით ინჩასებმა? მიუხედავად ამისა, „მილანს“ სამი გოლი შევუგდე (ის თამაში ფრედ, 3:3 დასრულდა), „რეალთან“ ცუდად არ მითამაშია და ინგლისში „ლიდსის“ კარშიც გვიტანე, როცა საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე 0:1-ს ვაგებდით. ისე, ინგლისელებთან ფრემ ლიგაზე ბევრი ხეირი არ მოგვიტანა. ჩემი გოლების ჩამოთვლით კი იმის თქმა მსურს, რომ მაღალ ხელფასს აუცილებლად ვიმსახურებდი — რასაც გუნდისთვის ვაკეთებდი, ზუსტად იმდენს მიხდიდნენ.

„მილანთან“ გატანილი გოლები დიდი სიხარულით არ აღმინიშნავს. „ლიდსი“ სხვა საქმეა — მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით და საშინელება იქნებოდა „ბარსას“ დამარცხება. შეშლილივით ვიყავი ანგარიში რომ გავათანაბრე, ისევე, როგორც „ბარსელონას“ ყველა ფეხბურთელი.

## სახიფათო მოსახვევი

ასე უიღბლოდ დაწყებული წელიწადი საკმაოდ კარგად დასრულდა. ძველ პრეზიდენტ ხოსეპ ნუნიესის შტაბთან უთანხმოება დამეხმარა იმაში, რომ „ბარსას“ ახალ თავკაც გასპართან ახალი კონტრაქტი გამეფორმებინა. „ბარსაში“, ძირითადად, ორ კაცთან მქონდა ურთიერთობა გაფუჭებული — პრეზიდენტ ნუნიესთან და მწვრთნელ ლუის ვან გაალთან, თუმცა...

მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. რამდენიმე დღეში „ბარსელონამ“ ყველა ტურნირზე ფიასკო განიცადა, ნუნიესი თანამდებობიდან წავიდა და ვან გაალსაც მწვრთნელობა დაატოვებინეს. კლუბის ახალი პრეზიდენტის არჩევნები იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ნაკრებთან ერთად ბრაზილიაში, 2002 წლის მუნდიალის შესარჩევი მატჩებისთვის ვემზადებოდი.

მერე ლუიშ ფიგუც გადავიდა „რეალში“... ამან მნიშვნელოვნად შეცვალა „კამპ ნოუზე“ ჩემი მდგომარეობა. წარმოიდგინეთ, ნუნიესი, რომელიც რივალდოს გაყიდვას ცდილობდა, წარსულს ჩაბარდა. აღარ არის დაპირისპირეუბლი ვან გაალიც, ხოლო ფიგუსთან კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, გათვალისწინებული თანხის მიღების შემდეგ, ჩემს გაყიდვაზე სიტყვა აღარ დაუძრავთ — სენიორ ნუნიესს ხომ ბიუჯეტის შესავსებად უნდოდა ჩემი გადაბარგება „კამპ ნოუდან“...

ასეა თუ ისე, პორტუგალიელის წასვლისა თუ სხვა რაიმე მიზეზით, „ბარსელონასთან“ ჩემი განშორება გადაიდო.

გახსოვთ, მაშინ მადრიდის „რეალში“ რა ალმავლობაც დაიწყო? „მარადიულ მტერთან“ მეტოქეობისას ხუან გასპარმა ის მაინც გააკეთა, რომ „ბარსელონას“ ერთ-ერთი მთავარვარსკვლავი გუნდიდან არ გაუშვა.

ჩემი, როგორც გუნდის მთავარი მოთამაშის ამბავს იქამდეც განიხილავდნენ „კამპ ნოუზე“, სანამ ლუიშ ფიგუ მადრიდულ ბილეთს ჩაიდებდა ჯიბეში. წარმოიდგინეთ, კაცი, რომელიც სულ მაღალ ხელფასს ითხოვს, ვან გაალთან ჩხუბობს, ინჩასები მოედანზე ხან სიზარმაცისთვის, ხან კი ინდივიდუალიზმის გამო უსტვენენ, გუნდისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება.

## სხვანაირად არ შემიძლია...

ჩვეულებრივ, ცხოვრებაში ძალიან წყნარი ვარ. ბრაზილიაში ჩემს ამ თვისებას დასცინოდნენ კიდეც. აი, რა დაწერა პაულუ ნასარმა 2000 წელს თავის სტატიაში სათაურით — „ნუთუ რივალდო მართლა ასეთი წყნარია?“

„რატომაა რივალდო ასე მწყრალად მარკეტინგთან? რა პროდუქტია ასეთი რივალდო, მარკეტინგის სპეციალისტები ცხვირს რომ იბზუებენ?

ბრაზილია — ეკვადორის მატჩის ბედი რივალდომ თავისი ორი გოლით გადაწყვიტა. ბრაზილიელთა ათასობით ფანი კი რატომღაც რომარიოს და სათადარიგოებში მყოფი რონალდინიოს სახელს სკანდირებდა.

ვარსკვლავი პერნამბუკოს შტატიდან მეტოქის მეკარეებს სისხლს უშრობს. მარკეტინგით აღჭურვილი მასმედია კი მას მაინც იგნორირებას უკეთებს. ვინაა მართალი, ისინი თუ რივალდო?

საპასუხო მატჩში ბრაზილია თავიდან აგებდა. რივალდო, რომელსაც „გლობოს“ სატელევიზიო ჯაჭვის 10-დან 9 არხის ოპერატორი „ვერ ამჩნევს“, ანგარიშს ათანაბრებს... რა ქნას ამ ფეხბურთელმა, რომ ოპერატორთა ყურადღება მიიპყროს? გატანილი გოლი ბრაზილიის ხუთასი წლის იუბილეს მიუძღვნას? ან ჯურღმულებში მოშიმშილე ბავშვებს? ან თუნდაც, „ბარსას“ პრეზიდენტ გასპარს? საფეხბურთო ბიზნესში ჩაფლულ ხალხს პელეს მაღლა შემართული მუშტი, რომარიოს წარწერიანი მაისურები და მარადონას თეატრალური ჟესტები ახსენდებათ გოლების დროს... ყველაფერი, რივალდოს გაქვავებული სახის გარდა.

არა, როცა რივალდოს გოლი გააქვს, იგი არც რონალდოა, არც რომარიო და არც მარადონა. მუშაკაცია, რომელიც საქმის შესრულების შემდეგ ლოკოკინასავით თავის ნიჟარაში ბრუნდება. თითქმის ერთნაირი ემოცია, ისეთივე, როგორც მილიონობით სხვა „უსახო“ პლანეტის მცხოვრები... მარკეტინგს კი თეატრალიზებული გმირი სჭირდება, დადებითი ან უარყოფითი, ოღონდ არა რივალდო...

იგი ქრისტიანია, მაგრამ როდისმე თუ გინახავთ, რივალდო საჯარიმო დარტყმის წინ ლოცულობდეს, ბურთს მაგიურ შელოცვას ეჩურჩულებოდეს, ან... პირჯვარს მაინც იწერდეს? ამიტომაცაა გენიალური ფეხბურთელი მასმედიისთვის უინტერესო. საქმის მკეთებელი ჩრდილში რჩება“...

რაც ამ სტატიაშია ნათქვამი, სიმართლესთან ძალიან ახლო დგას. რა ვქნა, ასეთი ვარ, სხვანაირი ვერ გავხდები.

**გაგრძელება იქნება**

# ტორსტენ ფრინგსი მეკარეს დაემალა



## გერმანია

### ლიგის თასი. ნახევარფინალი

**ვერდერი 2:1 ჰამბურგი**

1:0 ზიდანი (50), 1:1 სანოგო (70), 2:1 ფრინგსი (82)

**ვერდერი:** რაინკე, კ. ფრიცი, ფარენჰორსტი, ნალდო, ვომე, ფრინგსი, ფ. ბაუმანი, დიეგო (დ. იენსენი 46), ბოროვსკი (კ. შულცი 77), კლოზე (კლასნიჩი 83), ზიდანი

მწვრთნელი: თომას შააფი

**ჰამბურგი:** ვეხტერი, მაჰდავიკია, ბ. რაინჰარდტი, კომპანი, დემელი (კლინგბილი 25), ვიკი (სანოგო 46), დე იონგი, იაროლიმი, ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი, პ. გერერო (ლაასი 79)

მწვრთნელი: თომას დოლი

გაფრთხილება: ვომე, კლინგბილი, ფრინგსი, იაროლიმი

გაძევება: დე იონგი (76)

მსაჯი: კინჰოფერი

27 650 მაყურებელი

**გასული** სეზონის ბუნდესლიგის მეორეადგილოსანი ბრემენის „ვერდერი“ გერმანიის ლიგის თასის ფინალში გავიდა, სადაც „ბაიერნისა“ და „შალკეს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება.

მატჩი საკმაოდ ლაღი და საინტერესო გამოდგა, თუმცა პირველმა ტაიმმა უგოლოდ ჩაიარა. მეორე ნახევრის დებიუტში კი მოჰამედ ზიდანმა მიროსლავ კლოზეს ჩინებული პასი შეირგო და ბრემენელი „მუსიკოსები“ წინ გაიყვანა. შეგახსენებთ, რომ ზიდანი გასულ სეზონში „მაინცში“ იყო განათხოვრებული, სადაც კარგად გაისარჯა და „ვერდერმა“ იგი უკან დაიბრუნა.

გაშვებული გოლის შემდეგ „ჰამბურგი“ უპირატესობას დაეუფლა და 70-ე წუთზე გათანაბრებაც შეძლო. „კაიზერსლაუტერნიდან“ ნაყიდმა კოტდივუარელმა ფორვარდმა ბუბაკარ სანოგომ ახალ კლუბში პირველსავე თამაშში გამოიჩინა თავი. რამდენიმე წუთში თომას დოლის შეგირდები ათი კაცით დარჩნენ, რადგან ჰოლანდიელი ნახევარმცველი ნაიჯელ დე იონგი ტორსტენ ფრინგსს ეუხეშა და წითელი ბარათი მიიღო.

„ჰამბურგი“ ათი კაცითაც მწვავედ უტევდა და რამდენიმე მომენტი შექმნა, მაგრამ ვერ გამოიყენა და დაისაჯა კიდეც. 82-ე წუთზე ფრინგსმა შორეული, მაღალ კუთხეში ლამაზი დარტყმით გამარჯვების გოლი შეაგდო.

„დავინახე, რომ კუთხე დაუცველი იყო და მეკარეც ვერ დაინახავდა დარტყმის მომენტს. საბედნიეროდ, ჩანაფიქრი გამომივიდა. გვინდა, თასი მოვიგოთ და ახალ სეზონს კარგი განწყობით შევხვდეთ“ — თქვა ფრინგსმა.

**გიორგი კაკაბაძე**

# ლუსიო შალკეში

**„შალკემ“** 17 წლის პერუელი მცველი კარლოს სამბრანო იყიდა, რომელსაც „ლუსიოს“ ეძახიან ბრაზილიელთან მსგავსების გამო პერუს ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე გერმანულ კლუბში სამი სეზონის განმავლობაში ითამაშებს.



კარლოს სამბრანო

„შალკესთან“ სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. თავიდან მოყვარულებში ვიქნები, ხოლო შემდეგ მწვრთნელი ბუნდესლიგაშიც მათამაშებს“ — იმედიანად განუცხადა სამბრანომ მედიას.

პერუელი ახალბედა რამდენიმე თვის წინაც ყოფილა გერმანიაში და „შალკეს“ ძირითადი შემადგენლობიდან მეგობრებიც გაუჩენია. „მომავალ წელს ძირითად გუნდში, ბუნდესლიგაში ვითამაშებ“ — ამბობს სამბრანო. გერმანიის ჩემპიონატში მისი თანამემამულეები — „ბაიერნის“ კლაუდიო პისარო და „ჰამბურგის“ პაულო გერერო ბურთაობენ.

საერთოდ, ევროპულ ფეხბურთში პერუელთა დიდი შესევა იწყება. 17 წლის ფორვარდი დანიელ ჩავესი „ბრიუგეში“ მოეწყო, ანდებისქვეყნელ ფეხბურთელთა ყოვლისშემძლე იმპრესარიო გილიერმო კუელარი აცხადებს, რომ ბელგიური კლუბები „ხოსე გალვესის“ ვალი სანჩესით, კრისტიან ორდისით და „დეპორტივოს“ მაურისიო მონტესით არიან დაინტერესებულნი.

გილიერმო კუელარმა ერთი კვირის წინ ფრანგულ „მეცში“ გაამწესა თანამემამულეები: ვილმერ აგირე და მანუელ კორალესი. მუშაობს იმპრესარიო..

გარდა ამისა, მიგელ ვილიატა პოლონეთში გადაბარგდა, მიგელ რებოსიომ და კარლოს სეგარამ კი ბერძნული ლიგა აირჩიეს.

მიუნხენის „ბაიერნს“ ახალგაზრდა პერუელი ფორვარდის, ხესუს რეის ყიდვა უნდა. რეი თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მაგრად ბურთაობს და თურმე გოლი გოლზე გააქვს.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 15:30 | 1 | ლუტონი-ლესტერი | 2.30 | 3.00 | 2.70 | 1.30 | 1.24 | 1.42 |
| 18:00 | 2 | ბარნსლი-კარდიფი | 2.40 | 3.00 | 2.50 | 1.33 | 1.22 | 1.36 |
| 18:00 | 3 | ბირმინგემი-კოლჩესტერი | 1.40 | 3.50 | 6.00 | 1.00 | 1.13 | 2.21 |
| 18:00 | 4 | ბარნლი-ქპრ | 1.80 | 3.20 | 3.50 | 1.15 | 1.18 | 1.67 |
| 18:00 | 5 | იფსვიჩი-კრისტალ პალასი | 2.35 | 3.10 | 2.60 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 6 | ლიდსი-ნორვიჩი | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 7 | პლიმუთი-ვულვერჰემპტონი | 2.40 | 3.00 | 2.50 | 1.33 | 1.22 | 1.36 |
| 18:00 | 8 | პრესტონი-უენსდი | 1.65 | 3.00 | 4.50 | 1.06 | 1.20 | 1.79 |
| 18:00 | 9 | საუთენდი-სტოკი | 2.25 | 3.00 | 2.70 | 1.28 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 10 | ვესტ ბრომვიჩი-ჰალი | 1.55 | 3.30 | 5.50 | 1.05 | 1.20 | 2.06 |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 11 | ქოვენთრი-სანდერლენდი | 2.30 | 3.10 | 2.60 | 1.32 | 1.22 | 1.41 |
| 19:00 | 12 | დერბი-საუთჰემპტონი | 2.30 | 3.10 | 2.50 | 1.32 | 1.19 | 1.38 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 13 | ბორნმუთი-ჩესტერფილდი | 2.00 | 3.15 | 3.10 | 1.22 | 1.21 | 1.56 |
| 18:00 | 14 | ბრენტფორდი-ბლეკპული | 1.95 | 3.10 | 3.30 | 1.19 | 1.22 | 1.59 |
| 18:00 | 15 | ბრისტოლი-სკანთორპი | 1.55 | 3.30 | 5.50 | 1.05 | 1.20 | 2.06 |
| 18:00 | 16 | კარლაილი-დონკასტერი | 2.35 | 3.10 | 2.50 | 1.33 | 1.21 | 1.38 |
| 18:00 | 17 | ქრიუ-ნორტჰემპტონი | 1.80 | 3.10 | 3.60 | 1.13 | 1.20 | 1.66 |
| 18:00 | 18 | ჯილინგემი-ჰადერსფილდი | 2.25 | 3.10 | 2.70 | 1.30 | 1.22 | 1.44 |
| 18:00 | 19 | მილუოლი-იოვილი | 1.66 | 3.20 | 4.50 | 1.09 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 20 | ნოტინგემი-ბრედფორდი | 1.55 | 3.40 | 4.70 | 1.06 | 1.16 | 1.97 |
| 18:00 | 21 | პორტ ვეილი-ლეიტონი | 1.95 | 3.10 | 3.20 | 1.19 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 22 | როტერჰემი-ბრაიტონი | 2.40 | 3.00 | 2.50 | 1.33 | 1.22 | 1.36 |
| 18:00 | 23 | სუონსი-ჩელტენემი | 1.55 | 3.25 | 5.00 | 1.04 | 1.18 | 1.96 |
| 18:00 | 24 | ტრანმერი-ოლდემი | 2.00 | 3.00 | 3.10 | 1.20 | 1.21 | 1.52 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 25 | ბარნეტი-ტორკი | 2.15 | 3.10 | 2.80 | 1.26 | 1.21 | 1.47 |
| 18:00 | 26 | ჩესტერი-აკრინგტონი | 2.10 | 3.10 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.49 |
| 18:00 | 27 | დარლინგტონი-მაკლსფილდი | 1.66 | 3.20 | 4.20 | 1.09 | 1.18 | 1.81 |
| 18:00 | 28 | გრიმსბი-ბოსტონი | 1.80 | 3.10 | 3.40 | 1.13 | 1.17 | 1.62 |
| 18:00 | 29 | ჰარტლპული-სუინდონი | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1.23 | 1.50 |
| 18:00 | 30 | ლინკოლნი-ნოტსი | 1.85 | 3.10 | 3.40 | 1.15 | 1.19 | 1.62 |
| 18:00 | 31 | დონსი-ბერი | 1.60 | 3.20 | 4.50 | 1.06 | 1.18 | 1.87 |
| 18:00 | 32 | პიტერბრო-როვერსი | 1.95 | 3.10 | 3.00 | 1.19 | 1.18 | 1.52 |
| 18:00 | 33 | როჩდეილი-უოლსოლი | 2.40 | 3.00 | 2.50 | 1.33 | 1.22 | 1.36 |
| 18:00 | 34 | შრიუსბერი-მენსფილდი | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 35 | სტოკპორტი-ჰერეფორდი | 2.15 | 3.00 | 2.90 | 1.25 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 36 | უიკომბი-რექსემი | 1.80 | 2.80 | 3.40 | 1.09 | 1.17 | 1.53 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 37 | აბერდინი-ინვერნესი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 18:00 | 38 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 1.85 | 3.20 | 3.30 | 1.17 | 1.18 | 1.62 |
| 18:00 | 39 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 40 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.10 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.00 | 3.66 |
| 18:00 | 41 | სტ.მირენი-მოზერუელი | 2.30 | 3.10 | 2.60 | 1.32 | 1.22 | 1.41 |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 42 | ჰართსი-სელტიკი | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 43 | ერდრი-როსი | 2.20 | 3.35 | 2.40 | 1.32 | 1.14 | 1.39 |
| 18:00 | 44 | დანდი-პარტიკი | 1.70 | 3.35 | 3.60 | 1.12 | 1.15 | 1.73 |
| 18:00 | 45 | გრეტნა-ჰამილტონი | 1.50 | 3.40 | 4.50 | 1.04 | 1.12 | 1.93 |
| 18:00 | 46 | ლივინგსტონი-ქუინი | 1.60 | 3.40 | 4.15 | 1.08 | 1.15 | 1.86 |
| 18:00 | 47 | სტ.ჯონსტონი-კლაიდი | 1.60 | 3.40 | 4.20 | 1.08 | 1.15 | 1.87 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 48 | კოუდენბითი-ალოა | 1.95 | 3.40 | 3.00 | 1.23 | 1.18 | 1.59 |
| 18:00 | 49 | ფორფარი-სტრანრარი | 2.75 | 3.35 | 2.10 | 1.51 | 1.19 | 1.29 |
| 18:00 | 50 | მორტონი-რეითი | 1.53 | 3.80 | 4.50 | 1.09 | 1.14 | 2.06 |
| 18:00 | 51 | პიტერჰედი-ბრეჩინი | 1.87 | 3.40 | 3.40 | 1.20 | 1.20 | 1.70 |
| 18:00 | 52 | სტირლინგი-ეარი | 1.80 | 3.40 | 3.35 | 1.17 | 1.17 | 1.68 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 76 | პაშინგი-მატერსბურგი | 1.60 | 3.35 | 4.40 | 1.08 | 1.17 | 1.90 |
| 21:30 | 77 | ზალცბურგი-გრაცერი | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 21:30 | 78 | შტურმი-რიდი | 2.00 | 3.15 | 3.15 | 1.22 | 1.22 | 1.57 |
| 21:30 | 79 | ტიროლი-ავსტრია | 2.70 | 3.10 | 2.25 | 1.44 | 1.22 | 1.30 |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 80 | რაპიდი-ალტახი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 19:45 | 93 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.70 | 3.25 | 4.25 | 1.11 | 1.21 | 1.84 |
| 19:45 | 94 | ლუცერნი-აარაუ | 2.10 | 3.15 | 2.95 | 1.25 | 1.22 | 1.52 |
| 19:45 | 95 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 1.70 | 3.20 | 4.25 | 1.11 | 1.21 | 1.82 |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 96 | სიონი-სტ.გალენი | 1.90 | 3.20 | 3.25 | 1.19 | 1.19 | 1.61 |
| 18:00 | 97 | თუნი-შაფჰაუზენი | 1.60 | 3.35 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.95 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 107 | ნანტი-ლიონი | 4.15 | 3.00 | 1.80 | 1.74 | 1.25 | 1.12 |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 19:15 | 108 | რენი-ლილი | 2.20 | 2.75 | 3.10 | 1.22 | 1.28 | 1.45 |
| 22:00 | 109 | ოსერი-ვალენსიენსი | 1.50 | 3.20 | 5.50 | 1.02 | 1.17 | 2.02 |
| 22:00 | 110 | ბორდო-ტულუზი | 1.50 | 3.20 | 6.00 | 1.02 | 1.20 | 2.08 |
| 22:00 | 111 | ლე მანი-ნიცა | 2.10 | 2.75 | 3.35 | 1.19 | 1.29 | 1.51 |
| 22:00 | 112 | ლანსი-ტრუა | 1.60 | 3.20 | 5.60 | 1.06 | 1.24 | 2.03 |
| 22:00 | 113 | ნანსი-მონაკო | 2.50 | 2.75 | 2.70 | 1.30 | 1.29 | 1.36 |
| 22:00 | 114 | პსჟ-ლორიანი | 1.35 | 3.57 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.46 |
| 22:00 | 115 | სტ.ეტიენი-სოშო | 1.90 | 2.80 | 4.10 | 1.13 | 1.29 | 1.66 |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 116 | სედანი-მარსელი | 3.00 | 2.75 | 2.20 | 1.43 | 1.26 | 1.22 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 117 | გენგამი-აიაჩო | 2.20 | 2.80 | 3.00 | 1.23 | 1.26 | 1.44 |
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 118 | ამიენი-სტრასბური | 2.65 | 2.70 | 2.65 | 1.33 | 1.32 | 1.33 |
| 22:00 | 119 | ბასტია-რეიმსი | 1.67 | 3.10 | 5.00 | 1.08 | 1.25 | 1.91 |
| 22:00 | 120 | ბრესტი-ლიბოურნე | 1.80 | 2.85 | 4.40 | 1.10 | 1.27 | 1.72 |
| 22:00 | 121 | შატორუ-ლე ავრი | 2.00 | 2.70 | 3.70 | 1.14 | 1.29 | 1.56 |
| 22:00 | 122 | დიჟონი-კაენი | 2.40 | 2.70 | 2.90 | 1.27 | 1.31 | 1.39 |
| 22:00 | 123 | მეცი-ისტრი | 1.65 | 3.10 | 4.80 | 1.07 | 1.22 | 1.88 |
| 22:00 | 124 | მონპელიე-გენიონი | 1.75 | 2.85 | 5.00 | 1.08 | 1.29 | 1.81 |
| 22:00 | 125 | ნიორი-გრენობლი | 2.18 | 2.75 | 3.20 | 1.21 | 1.29 | 1.47 |
| 22:00 | 126 | ტოურსი-კრეტეი | 2.40 | 2.70 | 2.90 | 1.27 | 1.31 | 1.39 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 135 | სტანდარდი-შარლერუა | 1.40 | 3.75 | 6.30 | 1.01 | 1.14 | 2.35 |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 128 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1.20 | 4.80 | 8.95 | 1.00 | 1.05 | 3.12 |
| 22:00 | 129 | ბევერენი-ვესტერლო | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 22:00 | 130 | სერკლი-ლოკერენი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 22:00 | 131 | გენტი-მუსკრონი | 1.57 | 3.50 | 5.00 | 1.08 | 1.19 | 2.05 |
| 20:00 | 132 | ლიერსი-გენკი | 2.85 | 3.15 | 2.20 | 1.49 | 1.24 | 1.29 |
| 22:00 | 133 | მონსი-სტ.ტრუიდენი | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 22:00 | 136 | ვარეგემი-ბრიუსელი | 1.85 | 3.25 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 134 | რუზელარე-ბრიუგე | 4.80 | 3.50 | 1.60 | 2.02 | 1.20 | 1.09 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 15:00 | 137 | ანკარა-გალათასარაი | 4.65 | 3.35 | 1.55 | 1.94 | 1.16 | 1.05 |
| 15:00 | 138 | ანტალია-რიზე | 2.20 | 3.15 | 2.80 | 1.29 | 1.23 | 1.48 |
| 15:00 | 139 | ბურსა-ანკარაგიუჯიუ | 1.85 | 3.10 | 3.30 | 1.15 | 1.18 | 1.59 |
| 15:00 | 140 | ფენერბაჰჩე-ერჯიესი | 1.15 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 3.07 |
| 15:00 | 141 | გაზიანთეფი-დენიზლი | 1.85 | 3.10 | 3.20 | 1.15 | 1.17 | 1.57 |
| 15:00 | 142 | კაისერი-ტრაბზონი | 2.45 | 3.00 | 2.40 | 1.34 | 1.21 | 1.33 |
| 15:00 | 143 | კონია-საკარია | 1.70 | 3.20 | 3.75 | 1.11 | 1.16 | 1.72 |
| 15:00 | 144 | სივასპორი-გენჩლერბირლიგი | 2.25 | 3.00 | 2.70 | 1.28 | 1.22 | 1.42 |
| 15:00 | 145 | მანისა-ბეშიქთაში | 3.70 | 3.25 | 1.75 | 1.73 | 1.18 | 1.13 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 147 | ცსკა-ენერგია | 1.20 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.04 | 3.07 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 148 | ტორპედო-დინამო | 2.50 | 2.75 | 2.30 | 1.30 | 1.19 | 1.25 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 199 | რუსენბორგი-ვოლერენგა | 1.90 | 3.00 | 3.10 | 1.16 | 1.17 | 1.52 |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 200 | ლინი-მოლდე | 1.90 | 3.00 | 3.10 | 1.16 | 1.17 | 1.52 |
| 20:00 | 201 | ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2.00 | 2.90 | 3.10 | 1.18 | 1.21 | 1.49 |
| 20:00 | 202 | ტრომსიო-სანდეფიორდი | 1.85 | 3.00 | 3.20 | 1.14 | 1.17 | 1.54 |
| 20:00 | 203 | ვიკინგი-ლილესტრიომი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 22:00 | 204 | ბრანი-სტარტი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 205 | ფრედრიკსტადი-ჰამარი | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1.23 | 1.50 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 219 | კალმარი-გიოტებორგი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 21:00 | 220 | იორგრიტე-ჰამარბი | 3.00 | 3.25 | 2.10 | 1.55 | 1.23 | 1.27 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 238 | ჰაკა-ვპს | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 19:30 | 239 | ჰიკ-ინტერი | 1.35 | 4.10 | 6.50 | 1.01 | 1.11 | 2.51 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 293 | ლანდსკრონა-გეფლე | 2.45 | 3.00 | 2.45 | 1.34 | 1.22 | 1.34 |
| 21:00 | 294 | იოსტერსი-ვესბი | 1.50 | 3.60 | 5.00 | 1.05 | 1.15 | 2.09 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 296 | ინტერნასიონალი-ლიბერტადი | 1.40 | 3.60 | 5.50 | 1.00 | 1.11 | 2.17 |


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან; ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| | მოსკოვის გამზირი №6 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |
| ზესტაფონი | დავით ალმაშენებლის №39 | |
| გარდაბანი | დავით ალმაშენებლის №12 | |

# ჰო, აიდაჰო

## საყვარელიძე ამერიკის ელჩთან შედის და ევროპას უყურებს

*ეროვნული ნაკრების კანდიდატთაგან უმრავლესობა დღეს უგუნდოდაა. ყველა ცდილობს, თავისი შესაფერისი კლუბი მონახოს. ნიკა ცქიტიშვილი ნბაში იღწვის, შედარებით ნაკლები გაქანების მოთამაშეები ევროპაში ეძებენ გუნდებს. დავით საყვარელიძემ, რომელიც ეროვნულ გუნდში შარშანაც ირიცხებოდა, ამერიკული სტუდენტური ლიგის გუნდი მონახა, რომლისგანაც მოწვევა უკვე მიიღო და დღედღეზე ამერიკის საელჩოში მივა ვიზისთვის. ისე, საყვარელიძეს ევროპულ კლუბსაც ჰპირდებიან და, შესაძლებელია, ის ბებერ კონტინენტზე დარჩეს.*



— ხვალ შევდივარ ამერიკის ელჩთან, რათა ვიზა მივიღო და აიდაჰოს უნივერსიტეტის გუნდში წავიდე.

**— ეროვნულ ნაკრებს 5 აგვისტოს ეწყება შეკრება და შენ ამერიკაში მიდიხარ?**

— არა. ვიზა მექნება და ამერიკაში შეკრების, ანაც თუ ძირითად შემადგენლობაში მოვხვდი, საკვალიფიკაციო მატჩების დასრულების შემდეგ წავალ. აიდაჰოელებმა იციან, რომ ეროვნულ ნაკრებში ვარ გამოძახებული და წინააღმდეგები არ არიან, სექტემბერში რომ ჩავიდე.

**— სად საქართველო და სად აიდაჰო, ამერიკელებმა როგორ მოგნახეს?**

— ზუსტად არ ვიცი სად, მაგრამ ერთ-ერთმა ამერიკელმა მენეჯერმა მნახა და ახლახან შემეხმიანა. ის იუტას უნივერსიტეტის მენეჯერია და თავდაპირველად თავისი გუნდისთვის ვუნდოდი. მერე აღმოჩნდა, რომ მათთან ვერ ვითამაშებდი. საქმე ისაა, რომ იუტას უნივერსიტეტის გუნდი NCAA-ს პირველ, ყველაზე პრესტიჟულ დივიზიონში თამაშობს და იქ მე ვერ ვითამაშებდი, რადგან ორი წლის წინ „ნიუ იორკ ტექში" ვირიცხებოდი, რომელიც იუნიორ სტუდენტთა ლიგაში გამოდიოდა. რაღაც კვოტები თუ სასწავლო კრედიტებია საჭირო, რომ იმ ლიგაში ნაბურთავებმა კალათბურთელმა NCAA-ს პირველი დივიზიონის გუნდში ითამაშოს. ჰოდა, იუტელმა მენეჯერმა მითხრა, მეორე დივიზიონში თუ ითამაშებ, ნორმალურ გუნდს გამოგინახავო. მეც დავთანხმდი.

**— ალბათ სწავლაც მოგიწევს და ამისთვის თუ ხარ მზად?**

— დიდი სიამოვნებით ვისწავლი. მით უმეტეს, რომ საკმაოდ პრესტიჟული სასწავლებელია.

**— ესე იგი, ამერიკას უბრუნდები...**

— ამ ეტაპზე ასე ვფიქრობ, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ევროპაში წავიდე სათამაშოდ. ჩემი აგენტი კრის არისი მეუბნება, რომ ნორმალურ ევროპულ გუნდს გამოგინახავო და, თუ მართლაც გამოუვიდა, ამერიკაში აღარ წავალ. მით უმეტეს, დრო საკმარისად მაქვს. სანამ ნაკრების შეკრება ჩაივლის, ჩემი მენეჯერი, ალბათ, კონკრეტული გუნდის ვარიანტს შემომთავაზებს.

**— ბოლოს ნაკრებზეც გკითხავ: შენი აზრით, მოახერხებ ძირითად 12 კაცში მოხვედრას?**

— შარშან, როცა გორდონ ჰერბერტი გვწვრთნიდა, მოვახერხე, წლეულს კი ჯეი ტრაიანოს უნდა დავუმტკიცო ჩემი შესაძლებლობები. საკმაოდ დიდი კონკურენციაა და ბევრი შრომა დამჭირდება, ძირითადში რომ მოვხვდე. ამისთვის ყველანაირად მზად ვარ.

**ირაკლი პერტაია**



# ტყუპები ავიამშენში გაერთიანდნენ

**საქართველოს** მოქმედი ჩემპიონი თბილისის „ავიამშენი" 1 აგვისტოდან შეუდგა ახალი სეზონისთვის მზადებას. პირველ ვარჯიშს დიდუბის მძლეოსნობის მანეჟმა უმასპინძლა — ავიატორები თავდაპირველად ფიზიკურად კაჟდებიან, რის შემდეგაც დარბაზს მიაშურებენ.

ისევე, როგორც ყველა წამყვან ქართულ გუნდში, „ავიამშენშიც" ცვლილებებია. ლევან მოსეშვილის გუნდს ორი წამყვანი მოთამაშე მოაკლდა, თუმც არანაკლებ ყოჩაღი კალათბურთელები შეიმატეს და, შეძილება ითქვას, „ავიამშენის" შემადგენლობა თუ არ გაძლიერებულა, არც შესუსტებულა.

ჯერ წასულებზე ვთქვათ: „ავიამშენიდან" „აზოტში" კოტე ტუღუში და გიორგი მარკოიშვილი გადავიდნენ, ხოლო ბუბა ბერიშვილი სად გააგრძელებს კარიერას, ჯერჯერობით უცნობია.

ასევე სათუოა უგამოცდილესი ამროსი ორმოცაძის „ავიამშენში" დარჩენა, თუმც იმას წყალი არ გაუვა, რომ მოსეშვილის გუნდს ყოფილი თსუ-ელი ირაკლი ბერიშვილი და რუსთავის „აზოტის" ფორვარდი ზვიად ბაბიაშვილი გააძლიერებენ.

ამასწინანდელ ინტერვიუში „აზოტის" ახალდანიშნულმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა გვამცნო, რომ ირაკლი ბერიშვილი რუსთაველ კლუბში ითამაშებდა, მაგრამ...

„თავდაპირველად ისე იყო საქმე, რომ „აზოტში" მეც უნდა წავსულიყავი — ამბობს ირაკლი ბერიშვილის ტყუპისცალი დავითი — მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა და ირაკლიც ამიტომ წამოვიდა „აზოტიდან". ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ორწლიანი შესვენების შემდეგ, ისევ ერთ გუნდში ვიყოთ და რახან ეს „აზოტში" არ გამოგვივიდა, „ავიამშენში" ვითამაშებთ."

მაშ ასე, 2004 წელს ბათუმის „ბასკოში" გაჩემპიონების შემდეგ ტყუპ ბერიშვილებს ისევ ერთად ვიხილავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ავიამშენს" უკანა ხაზში პრობლემები ნაკლებად შეაწუხებს. არც წინა ხაზში გაუჭირდებათ ავიატორებს: პლასიდე როდუმტა, ზვიად ბაბიაშვილი, თორნიკე ნინიაშვილი და ლადო სუხიშვილი — ეს კვარტეტი ნებისმიერი გუნდისთვის დიდ თავსატეხი იქნება. თანაც, ამბობენ, „აზოტიდან" წამოსული დავით იმნაძეც „ავიამშენში" უნდა მივიდესო.

**ირაკლი პერტაია**



# ბოლო კაცს ჩეხეთი გაარკვევს

## ახალგაზრდები საშემოდგომოსთვის ემზადებიან

**ახალგაზრდა** ძიუდოისტებს სეზონის ორი უმთავრესი ტურნირი შემოდგომაზე ელით. 7-10 სექტემბერს ბორის ფირცხელიანის გუნდი ესტონეთში ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებს, 12-15 ოქტომბერს კი დომინიკის რესპუბლიკაში მსოფლიო პირველობა ტარდება. იქამდე ნაკრების წევრები საერთაშორისო არენაზე აღარ გავლენ, მხოლოდ რამდენიმე ქართულ შეკრებას გაივლიან. მთავარი მწვრთნელი კი ამ შაბათ-კვირას ორი ძიუდოისტით ჩეხეთში გაემგზავრა A კატეგორიის ტურნირზე.

„73 კილოგრამი წონითი კატეგორია ერთადერთია, რომელშიც ევროპაზე წასაყვანი სპორტსმენი არ დაგვისახელებია და ჩეხეთშიც ორი უმთავრესი კანდიდატი მიგვყავს — გვითხრა ნაკრების თავკაცმა — წინასწარი მონაცემებით, მცირე უპირატესობა გიგა წიკლაურის მხარეს იყო. საქართველოს ჩემპიონი გახდა, თან არსენ მაჭარაშვილს ფინალში მოუგო, თუმცა გადავწყვიტეთ, მათ კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ წიკლაურს საერთაშორისო გამოცდილება არ აქვს და მისი პირდაპირ ევროპაზე დაყენება ცოტა სარისკო საქმე იქნებოდა. მაჭარაშვილი კი ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონია."

ესტონური ტატამი უკვე განაღდებული აქვთ ბეთქილ შუკვანს (60კგ), თენგიზ პაპოშვილს (66კგ), დავით კარბელაშვილს (81კგ), იოსებ მსხალაძეს (90კგ), ნოდარ მეტრეველსა (100კგ) და ვახტანგ ზოიძეს (+100კგ). ამათგან ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მხოლოდ კარბელაშვილს უჭიდავია — შარშან ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. შუკვანს და მსხალაძეს კი ბრინჯაო ჭაბუკთა შორის მოუპოვებიათ.

შარშანდელი ევროპირველობა საქართველოს ნაკრებმა სამი მესამე ადგილით მოიარა. უოქროვერცხლოდ დარჩენა, ქართული ძიუდოს ტრადიციებიდან გამომდინარე, არცთუ სახარბიელო შედეგია, მაგრამ აქვე უცხოელი ძიუდოისტების ერთი უპირატესობაც აუცილებლად უნდა ვახსენოთ. ძიუდოში, ისევე როგორც ჭიდაობაში და სხვა რამდენიმე სახეობაში, ასაკის გადაკეთება ჩვეულებრივი ამბავია. მომავალ ევროპის ჩემპიონატზეც მრავლად იქნებიან წლებდაკლებულები. საქართველოში კი ამ პრობლემას ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და ქართული შვიდეულიც აბსოლუტურად სუფთა იქნება.

„სავარაუდოდ, ეს შემადგენლობა იჭიდავებს მსოფლიოს ჩემპიონატზეც, თუმცა არ გამოვრიცხავ, ევროპირველობის შემდეგ რამდენიმე წონაში ცვლილების გაკეთებაც გახდეს საჭირო" — დასძინა ბორის ფირცხელიანმა.



**ოთარ მაღლაკელიძე**

# საზაფხულო დავთარი შემოდგომის წინილებამდე

## ბორჯღალოსანთა მატჩები (2005 შემოდგომა – 2006 ზაფხული)

12 დეკემბერი 2005

**საქართველო 29:6 ჩილე**

4ლ: დადუნაშვილი, ნემსაძე, უდესიანი, მაჩხანელი; 3გ: კვინიხიძე; 1ს: კვინიხიძე

4 თებერვალი 2006

**საქართველო 46:19 რუსეთი**

6ლ: ა. გიორგაძე, ჯიმშელაძე, მაჩხანელი, უდესიანი (2), სამხარაძე; 5გ: ურჯუკაშვილი (4), სოხაძე; 2ს: ურჯუკაშვილი

25 თებერვალი 2006

**რუმინეთი 35:10 საქართველო**

1ლ: ზ. მაისურაძე; 1გ: ჯიმშელაძე; 1ს: ჯიმშელაძე

11 მარტი 2006

**საქართველო 40:0 პორტუგალია**

5ლ: მაჩხანელი (2), ზედგინიძე, გორგოძე, დათუნაშვილი; 3გ: ურჯუკაშვილი; 3ს: ურჯუკაშვილი

29 აპრილი 2006

**უკრაინა 12:32 საქართველო**

4ლ: შკინინი, დათუნაშვილი, ზ. მაისურაძე, უდესიანი; 3გ: ჯიმშელაძე; 2ს: ჯიმშელაძე

14 მაისი 2006

**იაპონია 32:7 საქართველო**

1ლ: სუჯაშვილი; 1გ: ჯიმშელაძე

4 ივნისი 2006

**საქართველო 19:29 ბარბაროსები**

3ლ: მაჩხანელი (2), მაგრაქველიძე; 2გ: ბარკალაია

10 ივნისი 2006

**ჩეხეთი 3:24 საქართველო**

3ლ: გორგოძე (2), ი. გიორგაძე; 3გ: ჯიმშელაძე (2), ელიზბარაშვილი; 1ს: ი. გიორგაძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

ყველაზე ბარაქიანი ბორჯღალოსანი პალიკო ჯიმშელაძე

**ახლა** ქართულ რაგბიში შინ და გარეთაც გვარიანი სიწყნარეა. ლეგიონერები თავიანთ ფრანგულ და იტალიურ კლუბებთან ერთად წინასასეზონო შეკრებებს გადიან, რუსეთში მოთამაშე ჩვენები კი გა-განია სეზონში არიან ჩართულნი.

მას შემდეგ, რაც თბილისის „ლოკომოტივმა" საქართველოს თასი მოიგო, შინაურ რაგბიშიც შემოდგომამდე გვარიანი უძრაობა იქნება. შემოდგომაზე კი საქართველოს ჩემპიონატი უნდა დაიწყოს.

უქმობს ნაკრებიც. ჩვენმა „ლელოებმა", რაგბის ევროპული მამების გადაწყვეტილებით, ჯერ კიდევ შარშან დაიწყეს წლევანდელი ერთა თასი. საერთასო მატჩებს იაპონური ტურნე, ჩილესთან და ბარბაროსებთან ტესტ-მატჩებიც დაამატეს და ახლა ბორჯღალოსნებიც შემოდგომას ელოდებიან. ოქტომბერში, საგაისო მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტი ეტაპია. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები სამგუნდა ჯგუფში რუმინეთთან და ესპანეთ-ჩეხეთს შორის უკეთესთან მოხვდა. ჯგუფიდან მსოფლიოს თასზე პირდაპირ მხოლოდ პირველადგილოსანი გადის. მეორეადგილოსანი იტალიის, რუსეთსა და პორტუგალიას შორის მეორეზე გასულს შინ და გარეთ ეთამაშება. ამათში გამარჯვებული მსოფლიოს თასზე წავა, წაგებული კი შანსს ინარჩუნებს და სანუგეშო, „რეპეშაჟად" წოდებულ რაუნდში გადადის. აქაც სტუმარ-მასპინძლობის პრინციპია და თუ აქედანაც ვერ გახვედი, აღარ ყოფილა საშველი და ეგაა.

ერთწრიან სამგუნდა ჯგუფში ჩვენები პირველ მატჩს სტუმრად რუმინეთთან ოქტომბერში გამართავენ. ორი კვირის თავზე კი სავარაუდოდ ესპანეთს უმასპინძლებენ. თქმა არ უნდა, ქართველებს მეორე ადგილი პრაქტიკულად გარანტირებული აქვთ. თუ სტუმრად რუმინეთში მოიგეს, ეგრევე წავლენ მსოფლიოს თასზე.

მანამდე კი გთავაზობთ ბორჯღალოსანთა მონაგარს შარშანდელი შემოდგომიდან წლევანდელი ზაფხულის ჩათვლით. როგორც ირკვევა, წლევანდელ ერთა თასზე და ტესტ-მეტჩებში ნაკრებში სარეკორდო, 51-მა მორაგბემ ითამაშა. ამ ხნის მანძილზე საქართველოს ნაკრებმა რვა მატჩი გამართა და ყველაზე მეტი შვიდ-შვიდი მატჩი ბესიკ უდესიანმა, ლევან დათუნაშვილმა, ბიძინა სამხარაძემ, ოთარ ბარკალაიამ და პალიკო ჯიმშელაძემ ითამაშეს. ჯიმშელაძისთვის „ბარბაროსებთან" თბილისური მატჩი 50-ე სანაკრებო იყო, რითაც ყველაზე ღვაწლმოსილი ბორჯღალოსანი შეიქნა. ამასთან რუსთავში ფოლადივით გამოწრთობილი პალიკო ჯიმშელაძე ჩვენების უპირველესი მექულეა — 8 ლელოთი, 55 გარდასახვით, 44 საჯარიმოთი, 3 არეკნით და ჯამში 291 ქულით „ლელოების" მექულეებს სწორედ ჯიმშელაძე ლიდერობს.

ერთიც, ჩვენი ნაკრების 17 წლიან მატიანეში გუნდისთვის სულ თხუთმეტ რჩეულს უკაპიტნია. ყველაზე კაპიტანი ყოჩი, ნაკრების ახლანდელი ლიდერი ილია ზედგინიძეა.

## საქართველო 2006

| მოთამაშე | ჩილ. | რუს. | რუმ. | პორ. | უკრ. | იაპ. | ბარბ. | ჩეხ. | სულ | ლ-გ-ს-ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოთარ ბარკალაია | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 10 | — | 7 | 0-2-0-0 |
| ბესიკ ხამაშურიძე | 14 | 11 | 11 | 11 | — | — | — | — | 4 | |
| თემურ სოხაძე | — | 10 | 15 | 15 | 10 | 15 | — | — | 15 | 0-0-0-1 |
| ირაკლი მაჩხანელი | 12 | 14 | 14 | 14 | — | — | 14 | 14 | 6 | 0-0-0-6 |
| გიორგი შკინინი | 11 | 11 | 12 | — | 11 | 11 | — | — | 5 | 1-0-0-0 |
| ირაკლი ჩხიკვაძე | 11 | — | — | — | — | — | — | — | 1 | |
| გიორგი ელიზბარაშვილი | — | — | — | 11 | 14 | 14 | 15 | 15 | 5 | 0-0-0-1 |
| ვასილ აბაშიძე | — | — | — | — | — | 11 | — | — | 1 | |
| ოთარ ელოშვილი | — | — | — | — | — | — | 11 | 11 | 2 | |
| ლექსო გუგავა | — | — | — | — | — | — | 11 | 11 | 2 | |
| დავით ჟამუტაშვილი | 13 | — | — | — | — | — | — | — | 1 | |
| მახო ურჯუკაშვილი | — | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | — | — | 5 | 0-7-5-0 |
| რეზო გიგაური | — | — | — | — | 13 | 13 | 13 | 13 | 4 | |
| ირაკლი გიორგაძე | — | 12 | 12 | 12 | — | — | 12 | 12 | 5 | 1-0-0-1 |
| დავით კაჭარავა | — | — | — | — | 12 | 12 | — | — | 2 | |
| ლაშა ფირფილაშვილი | — | — | — | — | — | — | — | — | 0 | |
| ბობა კვინიხიძე | 10 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0-3-1-0 |
| ალეკო ჯიმშელაძე | — | 10 | 10 | 10 | 12 | 10 | 15 | 10 | 7 | 1-7-3-0 |
| ბიძინა სამხარაძე | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | — | 9 | 9 | 7 | 1-0-0-0 |
| მეკო კვირიკაშვილი | 9 | — | — | — | — | — | — | — | 1 | |
| ირაკლი აბუსერიძე | — | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | — | — | 5 | |
| გიორგი კაჭარავა | — | — | — | — | — | 9 | 9 | 9 | 3 | |
| გიორგი კუთარაშვილი | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 2 | — | — | 6 | |
| დავით დადუნაშვილი | 2 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1-0-0-0 |
| გიორგი ჟღენტი | 3 | — | — | — | — | — | — | — | 1 | |
| დავით გასვიანი | 1 | — | — | — | 1 | 1 | — | — | 3 | |
| გოდერძი შველიძე | — | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 3 | |
| აქვსენტი გიორგაძე | — | 2 | 2 | 2 | — | — | 2 | 2 | 5 | 1-0-0-0 |
| დავით ზირაქაშვილი | — | 3 | 3 | 3 | — | 3 | — | — | 4 | |
| ავთო კოპალიანი | — | 3 | 3 | 3 | — | 3 | — | 3 | 3 | 5-0-0-0 |
| მიხეილ საჯაშვილი | — | — | — | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 5 | 1-0-0-0 |
| ირაკლი ნატრიაშვილი | — | — | — | — | 2 | 2 | — | — | 2 | |
| მამუკა მაგრაქველიძე | — | — | — | — | — | 1 | 1 | 2 | 1 | |
| დავით ხინჩაგიშვილი | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 2 | |
| გიორგი ნემსაძე | 4 | — | — | — | 5 | — | — | — | 2 | 1-0-0-0 |
| ზვიად მათიაშვილი | 4 | — | — | — | — | — | — | — | 1 | |
| მამუკა გორგოძე | 5 | 5 | — | 5 | — | — | 5 | 5 | 5 | 3-0-0-0 |
| ილია ზედგინიძე | — | 4 | 4 | 4 | 4 | — | — | 4 | 5 | 1-0-0-0 |
| ლევან დათუნაშვილი | — | 5 | 5 | 4 | 5 | 5 | 4 | 5 | 7 | 2-0-0-0 |
| ვიქტორ დიდებულიძე | — | — | 5 | — | — | — | — | — | 1 | |
| ზურაბ მჭედლიშვილი | — | — | — | — | — | 4 | 8 | 2 | | |
| რეზო ბელქანია | 6 | — | — | — | — | — | — | 1 | | |
| შალვა სუთიაშვილი | 6 | — | — | — | 7 | — | — | — | 2 | |
| რატი ურუშაძე | 7 | 6 | 6 | 6 | — | — | 7 | 7 | 6 | 1-0-0-0 |
| ბესო უდესიანი | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 7 | 4-0-0-0 |
| გია ლაბაძე | — | 7 | 7 | 7 | — | 6 | — | — | 4 | |
| ზვიად მაისურაძე | — | 6 | 6 | 8 | 7 | 7 | 6 | 6 | 7 | 2-0-0-0 |
| გიორგი ჩხაიძე | — | — | — | 8 | 6 | — | — | — | 3 | |
| ილია მაისურაძე | — | — | — | — | — | — | 6 | 6 | 2 | |

ჩილ. — ჩილე; რუს. — რუსეთი; რუმ. — რუმინეთი; პორ. — პორტუგალია;
უკრ. — უკრაინა; იაპ. — იაპონია; ბარბ. — ბარბაროსები; ჩეხ. — ჩეხეთი
სულ 50 მოთამაშე: 22 უკანახაზელი, 28 მორკინალი;
ნომრებით მითითებულია, ვინ რა პოზიციაზე ითამაშა
ლ-ლელო, გ-გარდასახვა, ს-საჯარიმო, ა-არეკნი

## ბორჯღალოსანთა მონაგარი (1989-2006)

81 მატჩი
(33 შინ, 40 სტუმრად,
10 ნეიტრალურზე),
47 გამარჯვება,
31 მარცხი,
3 ფრე;
ქულები: 1886 — 1588;
ლელო: 228 — 179;
ითამაშა
167 ბორჯღალოსანმა,
ამათგან 91 მორკინალია,
71 უკანახაზელი
და 6 უნივერსალი;
მორკინალებმა
გაიტანეს 116 ლელო,
უკანახაზელებმა კი 112

## მექულეები

| | |
|---|---|
| პალეკო ჯიმშელაძე | 291 |
| მახო ურჯუკაშვილი | 225 |
| ნუგზარ ძაგნიძე | 105 |
| კახა მაჩიტიძე | 63 |
| შოთა მოდებაძე | 62 |
| ნიკო იურინი | 53 |
| ბობა კვინიხიძე | 43 |

## მელელოვეები

| | |
|---|---|
| ილია ზედგინიძე | 13 |
| თედო ზიბზიბაძე | 11 |
| ლევან ცაბაძე | 10 |
| არჩილ ქავთარაშვილი | 10 |
| მახო ურჯუკაშვილი | 9 |
| ბესიკ ხამაშურიძე | 9 |
| აქვსენტი გიორგაძე | 9 |
| ირაკლი მაჩხანელი | 9 |
| მამუკა გორგოძე | 9 |
| ვასილ კაცაძე | 8 |
| გია ლაბაძე | 8 |
| პალიკო ჯიმშელაძე | 8 |
| გოდერძი შველიძე | 7 |
| ნიკო იურინი | 6 |
| ბადრი ხეხელაშვილი | 6 |

## ყველა კაპიტანი

| | |
|---|---|
| ილია ზედგინიძე | 25 |
| ლევან ცაბაძე | 12 |
| დიმიტრი ობოლაძე | 11 |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 11 |
| ნუგზარ ძაგნიძე | 7 |
| ოლეგ ლიპარტელიანი | 3 |
| ვასილ კაცაძე | 2 |
| დავით ბოლღაშვილი | 2 |
| გია ლაბაძე | 2 |
| ალეკო ხვედელიძე | 1 |
| თამაზ ფხაკაძე | 1 |
| გია რაფავა | 1 |
| ვანო ნადირაძე | 1 |
| ბესიკ ხამაშურიძე | 1 |
| პალიკო ჯიმშელაძე | 1 |

## კეპოსნები

(მინიმუმ 30 მატჩი)

| | |
|---|---|
| პალიკო ჯიმშელაძე | 51 |
| მახო ურჯუკაშვილი | 44 |
| აქვსენტი გიორგაძე | 44 |
| ბესიკ ხამაშურიძე | 42 |
| გია ლაბაძე | 41 |
| ილია ზედგინიძე | 41 |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 39 |
| თედო ზიბზიბაძე | 37 |
| ვანო ნადირაძე | 34 |
| ვასი კაცაძე | 34 |
| ვიქტორ დიდებულიძე | 34 |
| ირაკლი აბუსერიძე | 34 |
| ლევან ცაბაძე | 33 |
| გოდერძი შველიძე | 33 |
| მევლუდ მთიულიშვილი | 30 |

# წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია

## ქართული წყალბურთი წყალწაღებულისა და ხავსის ამბავია

*ახალგაზრდა წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს საუკეთესო მაჩვენებელი შარშანწინ ჰქონდა, როცა XI ადგილზე გავიდა. რუმინეთის ქალაქ ორადეაში რამდენიმე დღის წინ დასრულებული ჩემპიონატიდან კი ჩვენი გუნდის გულშემატკივარი, ალბათ, უფრო მეტს მოელოდა. ყოველ შემთხვევაში, შედეგის გაუარესებაზე ვერ იფიქრებდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. საბოლოოდ, როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, გუნდი XIV ადგილზე გავიდა. რუმინეთიდან დაბრუნებული საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელ სოსო მაისურაძეს სწორედ ორადეაში გამართულ შეხვედრებზე ვესაუბრეთ*



— ორადეაში საქართველოს ნაკრების გამოსვლაზე ჩვენ მხოლოდ მატჩების მშრალი სტენოგრამის მიხედვით ვმსჯელობდით. თუმც ამ მონაცემებითაც ნათელი იყო, რომ ჩვენი გუნდი საერთო მომზადებით მეტოქეებს ჩამორჩებოდა. თავდაპირველად საქართველოს ნაკრები თითქოს თანაბრად ეთამაშებოდა მეტოქეებს, მერე კი, როგორც იტყვიან, ცალ კარში თამაშები იწყებოდა. მაგალითად, პირველ მატჩში მასპინძლებთან ორი პერიოდი ფრედ დასრულდა. იგივე განმეორდა ჰოლანდიელებთანაც, უნგრელებმა და ფრანგებმა კი პირწმინდად დაგვჯაბნეს. ჩვენ მხოლოდ ბრიტანელებს მოვუგეთ. მაინც რა მოხდა ორადეაში, რითი აიხსნება ჩვენი გუნდის უფერული გამოსვლა?

— ძალთა ობიექტური შეფასებით, ბრიტანელთა გარდა ჰოლანდიელებისთვისაც უნდა მოგვეგო და სლოვენიელებისთვისაც. ალბათ, არც ფრანგებთან უნდა დავმარცხებულიყავით ისეთი დიდი სხვაობით. მით უმეტეს, რომ შარშანწინდელ ევროპის ჩემპიონატზე მათთან ფრე ვითამაშეთ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ეს კი, უწინარეს ყოვლისა, იმითაც აიხსნება, რომ ორადეაში ჩასვლისთანავე ჩვენი გუნდის ყველა წევრი მოიწამლა. შეხვედრისას, პერიოდებს შუა, იმის ნაცვლად, რომ მოთამაშეებისთვის რაიმე რჩევა-დარიგება მიმეცა, ისინი ტუალეტში გარბოდნენ. სამწუხაროდ, გუნდში ექიმი არ გვყავდა და დახმარებისთვის ისევ რუსთა ნაკრებს მივმართე. ახლა იმ ექიმის გასაჭირიც წარმოიდგინეთ, რომელსაც დახმარებას მთელი გუნდი სთხოვს. ასე იყო თუ ისე, რუსეთის ნაკრების ექიმი ძალიან დაგვეხმარა. ჩვენი წყალბურთელები ორი დღის მერე კი მომჯობინდნენ, მაგრამ ყოველივე ამან ჩვენს შემდგომ გამოსვლებზე მაინც უარყოფითად იმოქმედა.

— მხოლოდ ამით აიხსნება ჩვენი ცუდი გამოსვლა?

— სლოვენიელებთან შეხვედრაში ჩვენს მეტოქეს გამარჯვებაში ცოტა მსაჯებიც წაეშველნენ.

— ეგ ყოველივე რომ არა...

— ეგ ყოველივე რომ არა, როგორც ზემოთ ვთქვი, სლოვენიელებსაც მოვუგებდით და ჰოლანდიელებსაც, მაგრამ მათთან დამარცხებას უფრო სერიოზული პრობლემებიც ედო საფუძვლად. მართალია, ამის თაობაზე თქვენი გაზეთიც არაერთხელ წერდა, როცა ამ შეჯიბრებისთვის გუნდის მზადებაზე მოუთხრობდა მკითხველს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საევროპო თადარიგი ვერ დავიჭირეთ. მაგალითად, ჩვენ უკრაინის ჩემპიონატის გარდა არანაირ საერთაშორისო შეჯიბრში არ ვმონაწილეობდით მაშინ, როცა მეტოქეები ერთი ტურნირიდან მეორეზე დადიოდნენ. სპარინგპარტნიორები არც თბილისში გვყოლია და იძულებულნი ვიყავით, გუნდი შუაზე გაგვეყო და ერთმანეთთან გვეთამაშებინა. ამასთან, ჩვენს მეტოქეებს თუ ორჯერადი ვარჯიშები ჰქონდათ, ჩვენ რიგიანად ერთხელაც ვერ ვვარჯიშობდით, რაკი შესაფერისი ზომის აუზში არ გვიშვებდნენ. ბოლოს, როგორც [illegible] „ლაგუნა ვერეს“ [illegible] დღით კი შეგვეშვებ[illegible] დან პირველი ათი დღის განმავლობაში გაუთავებელი ავდარი იყო, რამაც წყალიც გააცია და გუნდის რამდენიმე წევრიც. ამიტომ იძულებულნი ვიყავით, იქვე, ოღონდ პატარა აუზში გვევარჯიშა. ასეთ პირობებში ისიც კი საკვირველია, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის მეხუთედ როგორ გადავლახეთ შესარჩევი ტურნირი. ამ პრობლემებს ისიც ემატება, რომ ამ ჩემპიონატებისთვის შესაფერისი ასაკის წყალბურთელები არ გვყავს. 19-20 წლის წყალბურთელები, რომლებიც ამ ჩემპიონატში გამოდიოდნენ, ეროვნულ ნაკრებ გუნდებშიც აქტიურად თამაშობენ, ჩვენ კი ასეთი ნაკრები უკვე მრავალი წელია, რაც სანატრელი გვაქვს. ეგ კი არა, ახალგაზრდული ნაკრებისთვისაც ვერ ვინარჩუნებთ წყალბურთელებს, რის გამოც გუნდის ნახევარს გაცილებით უმცროსი ასაკის სპორტსმენები შეადგენენ. ან როგორ უნდა შევინარჩუნოთ, როცა მათ არავითარი დაინტერესება არა აქვთ. გიყვარდეთ, ოლიმპიური ჩემპიონებისთვის კარგი პრემიები გვაქვს დაწესებული, მაგრამ იქამდე როგორ უნდა მიაღწიოს წყალბურთელმა, რომელსაც დაუმაღლებლად აუზში არ უშვებენ.

— ახლა რას აპირებთ?

— აბა, რა გითხრათ. აი, მაგალითად, კარგი იქნება, თუ სევასტოპოლში გაგვიშვებენ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც 11 აგვისტოს იწყება, მაგრამ ისიც გასარკვევია, მანამდე წყალი გვექნება თუ არა, რომ მერე შეჯიბრების მსვლელობისას თანდათან არ შევიდეთ ფორმაში, ისე როგორც ეს ორადეაში იყო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

---

ჭადრაკი

### დორტმუნდის სუპერტურნირი

28 ივლისი — 6 აგვისტო

# საყაიმო ვირუსი

III ტური

| | | |
|---|---|---|
| ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | არკადი ნაიდიჩი (გერმანია) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |



პეტერ ლეკო

**მეორე** ტურის მსგავსად, მესამეც მშვიდობიანი გამოდგა. ოთხივე მატჩი ყაიმით დასრულდა და ცხრილში ყველა თავის ადგილზე დარჩა. ლიდერები კვლავ პეტერ ლეკო და პიოტრ სვიდლერი არიან, აუტსაიდერები კი ბაადურ ჯობავა და არკადი ნაიდიჩი.

მესამე ტურში ჯობავა ოლიმპიადისა და მსოფლიოს თასის მომგებ ლევონ არონიანს დაუპირისპირდა. ქართველმა C3-ით დაიწყო შეხვედრა, მხედრები გამოიყვანა წინ და ფლანგის გაძლიერებას შეუდგა. არონიანმა თავიდანვე იერიშებს მიმართა, მსუბუქი ძალებით შეუტია თეთრებს და რამდენიმე ფიგურა გაუცვალა. საპასუხოდ ჯობავამ ლაზიერის ფლანგიდან დაარტყა სომეხს, ფლანგი გაურღვია და 21-ე სვლაზე მეტოქეები დაზავდნენ.

ყველაზე დიდხანს, ოთხ საათს, გაგრძელდა კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ვლადიმერ კრამნიკისა და სუპერტურნირის შარშანდელი მომგების არკადი ნაიდიჩის მატჩი. რუსმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო პარტია, დიდი ძალებით მიაწვა გერმანელს და მე-13 სვლაზე პაიკს გამორჩა. ნაიდიჩმა დაკარგული ოთხ სვლაში დაიბრუნა, მხედრით შეტევაში წავიდა და 21-ე სვლაზე პაიკი თვითონ მოიგო. კრამნიკმა წონასწორობა 27-ე სვლაზე აღადგინა, კვლავ იერიშებს მიმართა და დაფა მძიმე ფიგურებისგან გაასუფთავა. 35-ე სვლაზე მეტოქეებს მხოლოდ ოთხ-ოთხი პაიკი შერჩათ. მათ ფიგურების გაყვანაზე დაიწყეს ფიქრი, თუმც ორთაბრძოლებში ვერ იმარჯვეს და 44-ე სვლაზე ზავი გამოაცხადეს.

**ლუშა გეგეჭკორი**

| | |
|---|---|
| 1. პეტერ ლეკო | 2 ქულა |
| 2. პიოტრ სვიდლერი | 2 |
| 3. ლევონ არონიანი | 1,5 |
| 4. ვლადიმირ კრამნიკი | 1,5 |
| 5. მაიკლ ადამსი | 1,5 |
| 6. ბორის გელფანდი | 1,5 |
| 7. ბაადურ ჯობავა | 1 |
| 8. არკადი ნაიდიჩი | 1 |

---

ველორბოლა

# ექლვნება პანტანის



**იტალიური** ტელეარხი RAI-1 იუწყება, რომ სექტემბერში ეკრანებზე გამოვა ფილმი, რომელშიც ლეგენდარული იტალიელი ველოსიპედისტის, მარკო პანტანის, ცხოვრება იქნება ასახული.

ველოსპორტის სამყაროში პანტანი მართლაც ლეგენდარული კაცია — უნიჭიერესი მრბოლი და ტრაგიკული პიროვნება. „პირატად“ და ხანაც, დიდი ყურების გამო „სპილუკად“ წოდებულმა პანტანიმ 90-იანი წლების შუა პერიოდში დაიპყრო ველოსპორტის მოყვარულთა გულები, როდესაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აგრესიული, შემტევი მანევრით მოიგო „ტურ დე ფრანსისა“ და „ჯირო დიტალიას“ ეტაპი. მერე იყო რამდენიმე მძიმე ავარია და ტრავმა, რომელსაც სპორტსმენმა ვაჟკაცურად გაუძლო და 1998 წელს მარკომ უიშვიათესი დუბლი გააკეთა — ერთ სეზონში ჯერ „ჯირო“ მოიგო, შემდეგ კი — „ტური“.

ეს მწვერვალი იყო და პანტანი ამ მწვერვალიდან ჩამოსვლას არც მომდევნო სეზონში აპირებდა, როდესაც დიდი უპირატესობით იგებდა „ჯიროს“, მაგრამ სისხლში ერითროციტების მომატებული რაოდენობა აღმოუჩინეს, ბრალი ერითროპოეტინის მიღებაში დასდეს, რბოლიდან მოკვეთეს და დისკვალიფიკაცია მისცეს.

დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ პანტანი მაინც დაბრუნდა და ლენს არმსტრონგთან დავაში ორი ეტაპიც მოიგო „ტურზე“, მათ შორის ლეგენდარული ვანტუს მთის ეტაპიც, მაგრამ ეს, უკვე ძველი პანტანის აღარ იყო. თანაც, განტევების ვაცად ქცეულს, ჩინოვნიკები არ ასვენებდნენ, მის წარმატებებში მუდამ დოპინგის კვალს ეძებდნენ და 2004 წლის თებერვალში ყველაფერი დასრულდა — მარკო პანტანიმ ვეღარ გაუძლო და ბობოქარი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

დიდი მრბოლის მიერ განვლილ ცხოვრების ამ გზას ეხება სწორედ ის ფილმი, რომელიც სექტემბერში გამოვა და რომელშიც პანტანის როლს მსახიობი რონალდო რაველო შეასრულებს.

**კაცები**
სოპოტი. პოლონეთი. თიხნარი
საპრიზო 500 000 $

**პირველი წრე**

ხუან მონაკო (არგენტინა) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 2:6 7:6 6:4; კარლოს ბერლოკი (არგენტინა) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:0 6:2; გასტონ გაუდიო (3, არგენტინა) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:1 6:7 6:4; ოლივიე მარახი (ავსტრია) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 6:4 7:6; გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 7:6 7:5; ფილიპო ვოლანდრი (7, იტალია) — დანიელ ხიმენო ტრავერი (ესპანეთი) 6:4 6:1; რაემონ სლუტერი (ჰოლანდია) — გრეგორჟ პანფილი (პოლონეთი) 6:1 6:3; ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) — ალესიო დი მაურო (იტალია) 7:6 6:0; ხუან-იგნასიო ჩელა (5, არგენტინა) — ადრიენ გარსია (ჩილე) 6:3 6:2; მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) — მარკოს დანიელი (ბრაზილია) 6:4 2:0 (უარი); ფლორიან მაიერი (გერმანია) — ლუკაშ კუბოტი (პოლონეთი) 6:1 6:2; ტომი რობრედო (2, ესპანეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 7:6 3:6 6:4

**კაცები**
ვაშინგტონი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

**მეორე წრე**

ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) — კევინ კიმი (აშშ) 7:5 3:6 6:2; მარატ საფინი (რუსეთი) — ნიკოლა მაჰუ (15, საფრანგეთი) 6:3 5:7 6:4; კენეტ კარლსენი (დანია) — პარადორნ შრიჩაპარნი (9, ტაილანდი) 4:6 7:6 6:3; ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) — სებასტიან გროჟანი (6, საფრანგეთი) 6:4 3:6 6:3; არნო კლემანი (11, საფრანგეთი) — რაიან სვიტინგი (აშშ) 6:2 6:1; ანდრეას სტოპინი (იტალია) — ანდრე აგასი (4, აშშ) 6:4 6:3; ტიმ ჰენმანი (14, ბრიტანეთი) — ფილიპ კინგი (აშშ) 6:7 6:3 7:5

**ქალები**
სან დიეგო. აშშ. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

**პირველი წრე**

ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:2 7:6; ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:4 6:3; ემი ფრეიზერი (აშშ) — ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) 6:3 7:6; დანიელა პანტუხოვა (11, სლოვაკეთი) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 6:1 4:0 (უარი); გიზელა დულკო (არგენტინა) — შაჰარ პირი (ისრაელი) 2:6 6:3 6:3; კატარინა სრებოტნიკი (15, სლოვენია) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3 6:0; სანია მირზა (ინდოეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:3 6:1; ეშლი ჰაკლროუდი (აშშ) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2 6:3; ელენა ვესნინა (რუსეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (10, გერმანია) 3:6 6:3 6:3; ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — აი სუგიამა (13, იაპონია) 6:1 7:5

**მეორე წრე**

მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:4 6:1; მარტინა ჰინგისი (8, შვეიცარია) — მეილენ ტუ (აშშ) 6:2 6:3 ნიკოლ ვაიდიშოვა (7, ჩეხეთი) ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:1 6:0



# ასაკი მატულობს, კორტი პატარავდება

## აგასიმ ვაშინგტონს ჩოგანი დაუმტვრია



**არცთუ** ლამაზად დაემშვიდობა ანდრე აგასი ამერიკის დედაქალაქს. მოგეხსენებათ, 36 წლის ლეგენდა აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ ჩოგბურთიდან წასვლას გეგმავს და... ვაშინგტონშიც ბოლოს ჩავიდა მოთამაშე ჩოგბურთელის ამპლუაში.

ლამაზად დამშვიდობება არ გამოუვიდაო, რომ ვამბობთ, იმას ვგულისხმობთ, რომ აგასიმ პირველივე წრეში წააგო და კორტზე ძალიან არაბუნებრივად, ნერვულად იქცეოდა, ერთ ეპიზოდში კი ჯავრი ჩოგანზე იყარა და კორტზე დაანარცხ-დაამსხვრია. გასაგებია, რომ ანდრეს პირველივე წრეში წაგება ძალიან ეწყინა — ვაშინგტონში მეჩვიდმეტედ ჩასული, აქამდე საწყისი ეტაპიდან არასდროს გავარდნილა, მაგრამ ჩოგნის კორტზე დაფშვნა მისგან მაშინაც კი არ ახსოვთ, როცა პანკივით გამოიყურებოდა და ყველაზე ექსცენტრულ ჩოგბურთელადაც ითვლებოდა.

„ასე სულ რამდენჯერმე მოვქცეულვარ და მაშინ მემართება ხოლმე, როცა არაფერი გამომდის და არც არაფრის გამოსწორება შემიძლია. რიტმი ვერ დავიჭირე, რითაც ძალიან გაღიზიანებული ვიყავი. თან ყოველ დარტყმასთან ერთად, მეტოქის ნახევარი თითქოს სულ უფრო პატარავდებოდა და მეც ვაცდენდი და ვაცდენდი" — ასე ახსნა აგასიმ თავისი საქციელი.

ისე, ამერიკელი კიდევ უფრო მეტად, ალბათ, იმან გაახელა, რომ მისი მეტოქე სრულიად გამოუცდელი ანდრეას სტოპინი იყო. ეს იტალიელი ახლა რეიტინგში 249-ეა, ხოლო ATP-ის რანგის პირველი გამარჯვება ერთი დღით ადრე, პოლ გოლდსტინის დამარცხების შედეგად მოიპოვა. ახლა კი თვით აგასის მოუგო. ვერაფერს იტყვი, სატრაბახო ნაღდად ექნება ამ ბიჭს.

ხარობს მარატ საფინიც, რომელმაც აპრილის მერე პირველად მოიგო ზედიზედ ორი მატჩი. ამჯერად რუსი ნიკოლა მაჰუს გაუსწორდა. თუმც კი მარატს შემდეგ მატჩში უსერიოზულესი მეტოქე ეყოლება ჯეიმს ბლეიკის სახით. სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს საფინი მართლა ფორმაში შედის, თუ ვაშინგტონში ორი წრის გავლა შემთხვევითობა იყო.

სოპოტში კი ნამდვილად არგენტინული დღე იყო. მიუხედავად მარიანო ზაბალეტას წაგებისა, მეორე წრეში ერთბაშად ხუთი პატაგონიელი გავიდა.

სან დიეგოში კი ქალთა ერთობ წარმომადგენლობით ტურნირზე საინტერესო ახლა იწყება, რადგანაც კორტზე ფავორიტები გამოჩნდნენ.

თუმცა გუშინ რამდენიმე განთესილს სკალპი მაინც ახადეს. ამ მხრივ, ყველაზე მეტად ელენა ვესნინა გამოირჩა, რომელმაც პირველი სეტი კი წააგო ანა-ლენა გრონეფელდთან, მაგრამ მერე ნამეტანი დაიბრიყვა გერმანელი.

ამასობაში ზოგიერთმა მესამე წრეში გასვლაც მოასწრო. კერძოდ კი, ეს მარია შარაპოვას ეხება. რუსი პრიმა უიმბლდონის შემდეგ კორტზე პირველად გამოჩნდა, რის გამოც ყველას აინტერესებდა, რამდენად კარგად შეძლებდა მაშა ჰარდზე გადართვას. შარაპოვამ იმედები არ გაუცრუა გულშემატკივრებს და თავის სტილში, ძალისმიერი თამაშით, სან დიეგოს კაუჩუკზე გააკრა თანამემამულე ბარჩინა.

**ბაჩა ლომჯარიძე**

# კორტზე ჩახნაშვილიღა დარჩა

**ამ კვირაში** ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირებზე მოთამაშე ქართველების რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა. თავდაპირველი ვარაუდით, ამ კვირის შეჯიბრებებზე ოთხ ჩვენებურს უნდა ესპარეზა, მაგრამ ერთი მათგანი, კერძოდ კი სალომე დევიძე, რომელიც ამერიკული სან ჯოზეფის ჰარდზე პირველ ნომრად უნდა ყოფილიყო განთესილი, ტურნირიდან მოიხსნა. იქვე, ამერიკაში, ვაშინგტონის მაგარსაფარზე მიმდინარე 75 ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში დამარცხდა სოფო მელიქიშვილი და იგივე დაემართა თეონა ცერცვაძესაც, ვისაც იტალიური კარდონე ვალ ტრომპიას თიხაზე მიმდინარე 10 ათასიანი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში კორტის მასპინძელმა მინა პედერცოლიმ 7:6 6:3 მოუგო.

მწყობრში ჩვენი ქალთა ჩოგბურთის პირველი ნომერი მაკა ჩახნაშვილიღა დარჩა, ვინც ცერცვაძესავით იტალიურ თიხაზე, ოლონდაც მარტინა ფრანკას 50 ათასიან შეჯიბრში მონაწილეობს.

პირველ წრეში მაკამ კვალიფიკაციიდან წამოსულ იტალიელს, 23 წლისა და რეიტინგის 399-ე საფეხურზე მყოფ ელისა ბალზამოს ორ სეტში — 7:5 6:4 მოუგო. ქართველის მეორე მეტოქე, ასევე იტალიელი ნატალი ვიერინი იქნება. 25 წლისა და კლასიფიკაციაში 120-ე ადგილზე მყოფმა ვიერინიმ, ვინც მონტე ფრანკაში პირველ ნომრად არის განთესილი, სასტარტო მატჩში თანამემამულე ალისა კანეპას სამ სეტში — 6:7 6:2 6:3 სძლია.

**გია მუჯირი**



# პლაჟი ავსტრიაშიც არის

**ავსტრიულ** კლაგენფურტში გუშინ დაწყებულ მსოფლიო ტურის მორიგ ევროპულ ეტაპზე ქართულპასორტიანმა ბრაზილიელებმა რენატომ და ჟორჟიმ მაგრად იყოჩაღეს. საკვალიფიკაციო ეტაპზე გეორ და გიად წოდებული რენატო და ჟორჟი პირველი წრიდან თავისუფლები იყვნენ. ეს იმიტომ, რომ რეიტინგში საკმაოდ მაღლად არიან და ბოლო ეტაპებია, შესარჩევს აღარ გადიან. გუშინ ჩვენებმა საკმაოდ ძლიერ ლატვიელებს, სამოილოვსა და პლავინსის წყვილს 40 წუთში მოუმთავრეს საქმე — 2:0. ძირითად ბადეში მოსახვედრად გეორ და გია გუშინ გვიან ღამით გერმანელებს კრუგს- ურბაცკას წყვილს უნდა შეხვედროდნენ.

წლეულს ქართველი ბრაზილიელები მსოფლიო ტურის მე-11 ეტაპზე გამოდიან. სადღეისოდ ჩვენები მსოფლიო რეიტინგში საკმაოდ მაღლა, 23-ე ადგილზე არიან, ხოლო მათი საპრიზო მონაგარი 22 500 დოლარია.



**ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში**
**ბუდაპეშტი. 26 ივლისი — 7 აგვისტო**




AFP ბუდაპეშტიდან

# მადამ ტერეზა ბატერფლაი

**ბუდაპეშტის** ევროპირველობაზე კლასიკური ცურვის სერიის მეორე დღესაც მოცურავეებმა მედლების ოთხი კომპლექტი დაინაწილეს — 50 მეტრი ბატერფლაი ქალებსა და ვაჟებში, 100 მეტრ კაცთა ბრასში და 100 მეტრ კაცთა გულაღმა ცურვაში.

ბოლო ორ სახეობაში ოქროს მედლები რუსმა ჯეელებმა შეიხვედრეს და ახლა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გუნდი მედლების ჩათვლაში პირველ ადგილზე დაგაფუნობს. არკადი ვიატჩანინმა გულაღმა 100 მეტრი 53,50 წამში გალია და კონტინენტის ახალი რეკორდიც დაამყარა. 100 მეტრ ბრასში კი რომან სლუდნოვმა ევროოქროს მოპოვებას წუთზე ოდნავ მეტი მოანდომა.

აი, ბატერფლაიში რუსებს არაფერი შეხვდათ. ამ ულამაზეს და თან ურთულეს სახეობაში უმოკლეს, 50-მეტრიან დისტანციაზე, ანუ ერთი აუზის სიგრძეზე გოგონებში არცთუ მოულოდნელად იმარჯვა შვედმა ქალთევზა ტერეზა ალსამარმა, რომელიც 10 წელია უმაღლეს დონეზე დაცურავს და თუმც 29 წლის ასაკში ცურვის პარამეტრებით ღრმა ვეტერანადაც ჩაითვლება, მაინც ამბობს თავის სიტყვას. ახლაც, ფინალისტთა შორის ის ყველაზე „ბებერი" გახლდათ, ყველაზე ასაკოვანზე სამი, ზოგიერთზე კი ათი წლითაც კი უფროსი იყო, თუმც ერთი აუზი მაინც სხვებზე მარჯვედ გაიდელფინა.

კაცთა 50-მეტრიან ბატერფლაიში კი ოქრო უკრაინელმა სერგეი ბრეუსმა მოიგო, თანაც ევროპის რეკორდიც გამოაცხო — 23,41 წამი.

მედლების ერთი კომპლექტი გათამაშდა წყალში ხტომაშიც ქალთა შორის მეტრიანი ტრამპლინიდან ყველაზე სუფთად, უხმაუროდ და ტანმარჯვედ შვედი ანა ლინდგრენი გადმოხტა.

**კოტე ყორშია**

## ცურვა

**50 მ. ბატერფლაი. კაცები**

1. სერგეი ბრეუსი (უკრაინა) ---------- 23,41
2. დუჟე დრაგანია (ხორვატია) ---------- 23,62
3. იაკობ ანდკიაერი (დანია) ---------- 23,77

**50 მ. ბატერფლაი. ქალები**

1. ტერეზა ალსამარი (შვედეთი) ---------- 26,06
2. ანა-კარინ კამერლინგი (შვედეთი) ---------- 26,23
3. შანტალ გრუტი (ჰოლანდია) ---------- 26,49

**100 მ. გულაღმა. კაცები**

1. არკადი ვიატჩანინი (რუსეთი) ---------- 53,50
2. მარკუს როგანი (ავსტრია) ---------- 54,07
3. არისტეიდის გრიგორიადისი (საბერძნეთი) ---------- 54,34

**100 მ. ბრასი. კაცები**

1. რომან სლუდნოვი (რუსეთი) ---------- 1:00,61
2. ალექსანდერ დალე ოენი (ნორვეგია) ---------- 1:00,63
3. ოლეგ ლისოგორი (უკრაინა) ---------- 1:00,64

## წყალში ხტომა

**1 მ. ტრამპლინი. ქალები**

1. ანა ლინდბერგი (შვედეთი) ---------- 291,90
2. დიტე კოტციანი (გერმანია) ---------- 279,30
3. მარია მარკონი (იტალია) ---------- 267,35

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვერა

ესეც ნატალია უმუსკოვა. უფრო სწორად, მისი ნაწილი. ერთმეტრიანი სახტომის ილეთები ყოველთვის ძნელია და ნატალიამაც ვერ მოახერხა ევროპის ჩემპიონატის საპრიზო სამეულში შესვლა. ჩემპიონი კი შვედი ანა ლინდბერგი გახდა.



AFP ბუდაპეშტიდან



# ტალღაზე

ბრუნო სანტოსი ტალღაზეა, ტალღა, ჰანინგტონ ბიჩთანაა, ჰანტინგტონ ბიჩი კი — კალიფორნიაში. ამერიკის ღია პირველობა გახურებულა, სანტოსი კი წინაა.

AFP ჰანინგტონ ბიჩიდან

# მსუბუქი ცქერა

კობი ბრაიანტი და ჯერი კოლანჯელო ლას ვეგასის ტომას ენდ მაკ სენტერში ჩამომსხდარან და ამერიკისა და პუერტო რიკოს ეროვნული გუნდების თამაშს უცქერენ.



AFP ლას ვეგასიდან

# წავიხეთმსოთ, ბიჭებო

ამოვისუნთქოთ და განვაგრძოთო: ნიიმეგენის ათდღიანი ველოტური ძალიან პოპულარული რამ არის გერმანელებში. ათ ჯერზე მასში 3000 კაცი მონაწილეობს.



AFP ბუდაპეშტიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიქრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ქ[illegible]ლაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაილა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge